K 276.676
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა ხვედელიძე



საქართველოს სახელმწიფო საზღვარი კონსტიტუციებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში (1920-1996 წლები)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ხვედელიძე

У 276.676
 მან 3

საქართველოს სახელმწიფო საზღვარი კონსტიტუციებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში (1920 – 1996 წლები)

გამომცემლობა "განათლება"

თბილისი – 1999

საქართველოს პრეზიდენტის ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ
(47.93)342
67.99(2)116.2(2Г)
341.222 (47.922)
b. 492

საქართველო გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ოდითგანვე უცხო ქვეყნების ინტერესებს იწვევდა. ეს რეზონანსულად ცვლიდა ქვეყნის სასაზღვრო პოლიტიკას, რაც კარგად აისახა ბევრ საერთაშორისო დოკუმენტში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 1920-1996 წლების ისტორიული პერიოდი.

ნაშრომში სწორედ ამ პერიოდის სასაზღვრო საკითხებთან დაკავშირებული მასალებია თავმოყრილი. ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტების ერთობლიობაში წარმოდგენა და ურთიერთშედარება–შეჯერება ნათელს მოჰფენს ახლო ისტორიულ წარსულს და გარკვეულ წვლილს შეიტანს ქვეყნის სასაზღვრო პოლიტიკის სწორად წარმართვაში.

ნაშრომი განკუთვნილია სახელმწიფო მმართველობის, საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების დიპლომატიური და იურიდიული სამსახურების მუშაკთათვის, საზღვრის დაცვაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეების, იურიდიულ და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტებზე სალექციო კურსის ჩასატარებლად, აგრეთვე სასაზღვრო პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი: პროფესორი გივი ინწკირველი

რეცენზენტები: დოცენტი პაატა ცნობილაძე
დოცენტი მარინა კვაჭაძე

© მ.ხვედელიძე, 1999
გამომცემლობა, 1999

JSBN 99928-54-10-3

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

საქართველოს საზღვრები ამოხაზა ოცი საუკუნის ისტორიამ; საქართველო არის ერთი ისტორიული სხეული, შეკავშირებული მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით.

კავლე ინგოროყვა

საზოგადოებრივი წყობის ყველა ეტაპზე, მიუხედავად სოციალური სისტემების განსხვავებისა, სუვერენული სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითადი ნიშანი ყოველთვის იყო და არის სახელმწიფო საზღვარი. საზღვრის დადგენა და დაცვა, მისი მოწყობა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გარანტიაა.

ამ მიმართებით არც საქართველოა გამონაკლისი. ბრძოლითა და სისხლით დაწერილი მისი ისტორია ნათლად წარმოაჩენს, როგორ იბრძოდა ჩვენი ქვეყანა საუკუნეების განმავლობაში საკუთარი ტერიტორიის დასაცავად, საზღვრების განსამტკიცებლად. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და ბუნებრივი რესურსების სიუხვე მუდამ იქცევდა უცხო ქვეყნების ყურადღებას და მისწრაფებას ულვივებდა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია ჩვენი ქვეყანა. უცხო ქვეყნებთან მძიმე ომებს ხანგრძლივი და რთული დიპლომატიური დაპირისპირებები და სხვა სახის გართულებები მოსდევდა. როგორც წესი, ამ პროცესების ძირითადი თუ არა, ერთ-ერთი მთავარი საკითხი საზღვრების დადგენასთან დაკავშირებული პრობლემები იყო...

ახლა, როცა დიდი გზა გავიარეთ და ცივილიზებულ სამყაროში შევედით სასაზღვრო საკითხები არათუ მოიხსნა, მათი აქტუალურობა დღითი-დღე მატულობს.

ძირეული გარდაქმნები მოხდა საქართველოში. იგი ღია დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებს, რისთვისაც აუცილებელია უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო საზღვრების ახლებურად დადგენის დასაბუთება, განმტკიცება და დაცვა. სწორედ ამ მიზნებმა განაპირობა წინამდებარე კრებულის შედგენის აუცილებლობა.

სახელმწიფო საზღვრის დეფინიცია სახელმწიფოს ძირითად კანონში – კონსტიტუციაში იმ სამართლებრივი აქტით უნდა მოხდეს, რომლითაც საზღვრის სტატუსია განსაზღვრული. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სხვადასხვა დროის კონსტიტუციებში საზღვრის ფენომენთან დაკავშირებულ ურთიერთობათა ამსახველი მუხლებისა და ასევე საზღვრის დადგენის შესახებ საერთაშორისო

ხელშეკრულებების თავმოყრა, ქრონოლოგიურად დალაგება და სისტემაში მოყვანა, რასაც წინ უძღოდა ისტორიული დოკუმენტების მოპოვების მიზნით გაწეული შრომატევადი მუშაობა. ჩვენის აზრით, ამ კრებულის გამოცემა ხელს შეუწყობს დაინტერესებულ პირებს ანალიზი გაუკეთონ საქართველოს, ამიერკავკასიისა და სსრ კავშირის ყველა არსებულ კონსტიტუციაში სახელმწიფო სუვერენიტეტის, მისი საზღვრების, ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსისა და სამხედრო სფეროსთან დაკავშირებული საკითხების ასახვას, გარკვეულ სინათლეს შეიტანს საზღვრის ახლებურად მოწყობის შემდგომ ღონისძიებებში.

კრებული იწყება საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით, რასაც მოსდევს რუსეთ — საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რადგან ეს დოკუმენტი მიჩნეულია სახელმწიფო საზღვრის მარეგულირებელ, მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტად, მთავრდება საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის სახელმწიფო საზღვრებთან დაკავშირებული დებულებებით.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ სხვადასხვა კონსტიტუციიდან ამოკრებილი მონაცემები ნათლად წარმოსახავენ იმ ურთულეს, წინააღმდეგობებით აღსავსე გზას, რომელიც საქართველომ მე-20 საუკუნის ოციანი წლებიდან განვლო. ამ მასალების გამოყენება ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანას სწორად წარმართოს სასაზღვრო პოლიტიკა საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან მიმართებაში და აქტიურად ითანმშრომლოს მათთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კრებულში შეტანილ ყველა დოკუმენტში (კონსტიტუციასა და საერთაშორისო ხელშეკრულებაში) ცალსახადაა აღიარებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მის შემადგენლობაში აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის ყოფნა.

კრებულის შედგენისას ვეყრდნობოდით ივანე ჯავახიშვილის, პავლე ინგოროყვას, პეტრე სურგულაძის და სხვათა შრომებს, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს ეხება.

კრებულში მხოლოდ საზღვართან დაკავშირებული სამართლებრივი მასალებია თავმოყრილი და ისტორიულ–პოლიტიკური პროცესების დინამიკაში მათ წარმოჩენას ისახავს მიზნად. მისი შემდგომი შესწავლა–ანალიზი და მეცნიერული შეფასება სწორედ ამ მასალების გამოყენების საშუალებით ახლო მომავალში გვაქვს დაგეგმილი.

მ. ხვედელიძე

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

გამოცხადებულია ტფილისში, სასახლის თეთრს დარბაზში 1918 წელს, 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთს

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით იდვეს თავსა საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერ-კავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წელს, ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ დღეს აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.
2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა არის.

3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივ-ნეიტრალი სახელმწიფოა.
4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.
5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.
6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.
7. დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

რუსეთ–საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება*

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ერთის მხრით, და რუსეთის სოციალისტურმა ფედერატიულმა საბჭოთა რესპუბლიკამ მეორე მხრით, ხელმძღვანელობდნენ რა საერთო სურვილით დაამყარონ ორივე ქვეყნის შორის მტკიცე და მშვიდობიანი ურთიერთობა ხსენებულ ქვეყნების მცხოვრებთა საკეთილდღეოთ, გადასწყვიტეს შეკრან ამ მიზნით განსაკუთრებული ხელშეკრულება და დანიშნეს თავის რწმუნებულად: საქართველოს დემოკრეტიული რესპუბლიკის მთავრობამ დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილირიონისძე ურატაძე და რუსეთის სოციალისტურმა ფედერატიულმა საბჭოთა მთავრობამ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ლევ მიხეილისძე კარახანი. ხსენებულმა რწმუნებულებმა აცნობეს რა ერთმანეთს თავის რწმუნებულების შესახებ, რომელიც აძლევდა მათ აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უფლებას, შეთანხმებულ ქვემომოყვანილ მუხლებში:

მუხლი I.

გამოდის რა რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ყველა ერთა თავისუფალ თვითგამორკვევის უფლების აღიარებიდან სრულ გამოყოფის უფლებამდე იმ სახელმწიფოებიდან, რომლის შემადგენლობაშიც ეს ერები შედიან, რუსეთი ყოველ პირობის გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, და თავის ნებით იღებს ხელს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხსა და ქვეყნის მიმართ.

---

* გამოქვეყნებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ყოველდღიურ გაზეთ "კომუნისტში" 1920 წლის 8 ივნისს (№5), აგრათვე გაზეთ "ერთობაში" 1920 წლის 6 ივნისს (№125). ხელშეკრულების მე-5-ე მუხლის მეათე პუნქტი აღნიშნულ გაზეთებში გამოქვეყნებული არ ყოფილა, იგი პირველად 1989 წლის 8 ივნისს გამოაქვეყნეს გაზეთ "კომუნისტში" ა. სურგულაძემ და ა. მენთეშაშვილმა სათანადო კომენტარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი II.

გამოდის რა ხსენებულ ხელშეკრულების პირველ მუხლში აღიარებულ პრინციპებიდან, რუსეთი ვალდებულად ხდის თავს ხელი აიღოს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე.

მუხლი III.

1) სახელმწიფო საზღვარი საქართველოს და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე პსოუს გასწვრივ ასახჩის მთამდე; გადადის ხსენებულ ასახჩისა და აგაპეტის მთაზე და მიდის ყოფილ შავი ზღვის, ქუთაისის და თფილისის გუბერნიების ჩრდილოეთის საზღვრით ზაქათალის ოლქამდე და ხსენებულ ოლქის აღმოსავლეთ საზღვრით მიდის სომხეთის საზღვრებამდე.

2) ყველა უღელტეხილი, მდებარე აღნიშნულ მოსაზღვრე ხაზზე 1922 წ. პირველ იანვრამდე ნეიტრალურად არის აღიარებული. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება დაიკავოს ეს უღელტეხილები თავის ჯარებით ანდა გაამაგროს ისინი.

3) დარიალის უღელტეხილზე, ამ მუხლის მეორე პუნქტში აღნიშნული ნეიტრალიზაცია გავრცელდება ბალთიდან კობამდე, მამისონის უღელტეხილზე ზარამაგიდან ონამდე, და ყველა სხვა უღელტეხილებზე ხუთი ვერსის მანძილზე ორივე მხრით აღებული იმ პუნქტიდან, სადაც საზღვარი გადის.

4) სახელმწიფო საზღვარის სწორ გაყვანას ორ ხელშემკვრელ მხარის შორის, მოახდენს განსაკუთრებული მოსაზღვრე შერეული კომისია, რომელშიაც შევა ერთნაირი რიცხვი ორივე მხრიდან. ხსენებული კომისიის მუშაობის შედეგი დამტკიცებული იქნება ორივე ხელშემკვრელ მხარის შორის დადებულ განსაკუთრებული ხელშეკრულებით.

მუხლი IV.

1) რუსეთი ვალდებულია აღიაროს საქართველოს რესპუბლიკის უდავო შემადგენელ ნაწილებად გარდა შავი

ზღვის გუბერნიის ნაწილებისა, რომელნიც გადადის საქართველოს საზღვრებში ხსენებულ ხელშეკრულების პირველ და მესამე მუხლების ძალით, აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი გუბერნიები და რუსეთის სახელმწიფოს ყოფილი ოლქები: თფილისის, ქუთაისის და ბათომის ყველა მაზრებით და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ ხსენებულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალის და სოხუმის ოლქები.

2) შემდეგში, ურთიერთობის თანდათანობითი გამორკვევის მიხედვით საქართველოს და რუსეთს გარდა სხვა სახელმწიფო ერთეულებს შორის, რომელნიც არსებობენ ან შესაძლებელია შეიქმნენ საქართველოს სხვა საზღვრებთან, გარდა იმისა, რომელიც აწერილია ხსენებულ ხელშეკრულების მესამე მუხლში, რუსეთი მზათ იქნება იცნოს საქართველოს შემადგენელ ნაწილად ყოფილ კავკასიის სანამესტნიკოს ესა თუ ის ნაწილი, რომელიც გადავა მის ხელში ამ სახელმწიფო ერთეულებთან დადებულ ხელშეკრულების ძალით.

მუხლი V.

ალიარებს რა სამართლიანად რუსეთის მოთხოვნილებას, რომ არ იქნეს დაშვებული შემდეგში საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე სამხედრო ოპერაცია, არსებობა სამხედრო ძალათა და სხვა მოქმედებათა, რომელთაც შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე შექნან პირობანი დამუქრებისა რუსეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ანდა საქართველოს ტერიტორიას გახდის სამხედრო ოპერაციების ბაზად, რომელიც მიმართული იქნება რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფოს და მასში არსებულ სახელმწიფოებრივ წესწყობილების წინააღმდეგ, საქართველო ვალდებულად ხდის თავს მოახდინოს:

1) დაუყოვნებლივი განიარაღება და კონცენტრაციულ ბანაკებში მოთავსება ამა საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს საქართველოს ტერიტორიეზე მყოფთა, თუკი ასეთები აღმოჩნდებიან, ან სამხედრო და საზღვაო–სამხედრო ნაწილების, კომანდებისა და ჯგუფების, რომელნიც მომავალში

შესაძლოა მის საზღვრებში გადავიდენ და რომელნიც რუსეთის მთავრობის ან მისი ნაწილის, ანდა რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობის პრეტენდენტის როლში გამოვლენ, აგრეთვე წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთა, ორგანიზაციებისა და ჯგუფებისა, რომელთაც მიზნათ ექნებათ რუსეთის, ან მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობის ძირს ჩამოგდება.

2) დაუყოვნებლივი განიარაღება და დაკავება საქართველოს ნავთსადგურებში მყოფ გემებისა, რომელიც შედის ამა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციებისა და ჯგუფების საზღვაო სამხედრო ძალთა შემადგენლობაში და აგრეთვე, რომელიც ამა თუ იმ მოსაზრებით ამ ორგანიზაციების და ჯგუფების განკარგულებაშია და საქართველოს ნავთსადგურებში იმყოფება. ამ გემების ეკიპაჟის მიმართ სავსებით უნდა განხორციელდეს ამა მუხლის პირველი პუნქტის დადგენილება.

3) ყოველგვარ ჯილდოს მოუთხოვნელად და სრულებით უფასოდ გადაეცეს რუსეთს ყველა სამხედრო და საზღვაო-სამხედრო ქონება, ღირებულებანი და ფულის თანხები, რომელნიც ამა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციათა და ჯგუფების მფლობელობასა, სარგებლობასა და განკარგულებაში იმყოფება. ამ მუხლის თანახმად სამხედრო და საზღვაო-სამხედრო ქონებათ იგულისხმება: გემები და სხვა სანაოსნო საშუალებანი და არტილერიის, საინტენდანტოს (მათ შორის სასურსათო და ნივთიერი დაკმაყოფილების) საინჟენერო და საავიაციო მოწყობილებანი.

4) განიარაღების შემდეგ გადაეცეს რუსეთს ამა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ნაწილები, ორგანიზაციები, ჯგუფები და გემების ეკიპაჟი.

<u>შენიშვნა:</u> რუსეთი პირობას იძლევა, რომ იგი ამ მუხლის ძალით გადაცემულ ყველა პირს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს.

5) მიიღოს ზომები და განდევნოს საქართველოს ტერიტორიის იმ საზღვრებიდან, რომელიც ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლით არის განსაზღვრული, ყოველგვარი ჯარი და სამხედრო რაზმები, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ჯარების შემადგენლობაში არ შედის.

6) მიღებულ იქნას ზომები, რომ მომავალში არ დაუშვან საქართველოს ტერიტორიაზე იმ ჯარებისა და სამხედრო რაზმების არსებობა, რომელნიც ამა მუხლში მეხუთე პუნქტშია აღნიშნული.

7) იმ პირებს, რომელნიც ამა მუხლის პირველსა და მეხუთე პუნქტში ჩამოთვლილ ორგანიზაციებს, ჯგუფებსა და ნაწილებს ეკუთვნიან, რამდენადაც ეს პირები თავისი ეროვნებით არ არიან ქართველები, აღეკრძალოს რა სახითაც არ უნდა იყოს, მათ შორის მოხალისეთ; საქართველოს სახელმწიფო ჯარში შესვლა.

8) ტერიტორიის იმ საზღვრებში, რომელიც დადგენილია ამა ხელშეკრულების მეოთხე მუხლით, მომავალში არ მისცენ შედგენისა და არსებობის საშუალება რაიმე ორგანიზაციებს და ჯგუფებს, რომელნიც თავის თავს აცხადებენ რუსეთის ან მისი ნაწილის მთავრობის, ანდა რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოს როლში, აგრეთვე არ მისცენ შედგენისა არსებობის საშუალება წარმომადგენლობებს და თანამდებობის პირთ. ორგანიზაციებს და ჯგუფებს, რომელთაც მიზნათ ექნებათ რუსეთის ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფოთა მთავრობის ჩამოგდება. ამასთანავე, საქართველო ვალად იღებს არ დაუშვას ზემოაღნიშნულ ორგანიზაციების, ჯგუფების, წარმომადგენლობათა და თანამდებობის პირთა მიერ საქართველოს ტერიტორიით გატანა ყველაფერი იმისა, რითაც შეიძლება ისარგებლონ რუსეთზე და მის მოკავშირე სახელმწიფოებზე თავდასასხმელად. აგრეთვე აეკრძალოს თავის ნავთსადგურებსა და წყლებში ამგვარ ორგანიზაციათა გემებისა და სხვა სანაოსნო საშუალებათა არსებობა, გარდა საერთაშორისო სამართლით დადგენილი შემთხვევებისა იმ გემების მიმართ რომლებიც იღუპებიან და სხვა.

9) იმ შემთხვევაში, თუ ამა მუხლის მერვე პუნქტში, აღნიშნულ ორგანიზაციების, ჯგუფებისა, წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთა მიერ მოხდება მერვე პუნქტში აღნიშნულ აკრძალვათა დარღვევის ცდა, იმ პირებსა და ქონებას, რომელიც საქართველოს მთავრობისაგან მის მიერ ამა მუხლის მერვე პუნქტით თავის თავზე მიღებულ ვალდებულების ძალით იქნება დაკავებული, ამა მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირობის თანახმად მოეპყრობიან.

10) ამ მუხლის მეხუთე პუნქტით დათქმული ღონისძიებების შესრულება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ ხელშეკრულების ხელისმოწერისთანავე. საქართველო ვალდებულებას კისრულობს უმოკლეს ვადაში დაამთავროს ისინი თუნდაც შეიარაღებული ძალის გამოყენებით.

მუხლი VI.

რუსეთი ვალდებულია არ მისცეს უფლება მის ტერიტორიაზე ყოფნისა და მოქმედების არავითარ ჯგუფსა და ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს მთავრობის, ანუ მის ნაწილის მთავრობის როლს მიითვისებენ, და აგრეთვე იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც თავის მიზნათ საქართველოს მთავრობის დამხობა ექნება დასახული. რუსეთი ვალდებულია იქონიოს სავსებით თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე, რათა მათს ტერიტორიაზე არ დაუშვან არსებობა ამ მუხლში აღნიშნულ ჯგუფებისა და ორგანიზაციების.

მუხლი VII.

შესაძლო გაუგებრობის ასაცილებლად ორივე ხელშემკვრელი მხარე შეთანხმდა, რომ ამ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მეხუთე და მეექვსე პუნქტების განხორციელების დროს საქართველოს ნაწილებში, რომლებიც მას უნდა შეუერთდნენ ამ ხელშეკრულებების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, როდესაც მეზობელ სახელმწიფოებთან, რუსეთს გარდა, საზღვრები საბოლოოდ დაიდება, საქართველოს მხრივ ამ შემთხვევაში საჭირო ზომების მიღება უნდა გათავდეს უახლოეს დროში მის მიერ ამა თუ იმ ტერიტორიაზე თვისი სახელმწიფოებრივი მეპატრონეობის ფორმალური განხორციელების შემდეგ.

მუხლი VIII.

ამ ხელშეკრულების მუხლების მეხუთე და მეექვსეს

სისწორით ასრულებისა და მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადასაცემად არსდება შერეული კომისია ორი მხრიდან თანაბარ წევრთა რიცხვით. კომისიის მუშაობის წესი თვით კომისიის მიერ გამომუშავდება. ამ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადაცემა უნდა გათავდეს ამ ხელშეკრულების დადების დღიდან ორი თვის განმავლობაში.

მუხლი IX.

1) საქართველოს ჩამომავლობის პირთ, რომელნიც რუსეთის ტერიტორიაზე სცხოვრობენ და დაბადებიდან 18 წლის არიან შეუძლიათ საქართველოს ქვეშევრდომობა მოითხოვონ. აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველთ, რომელნიც ზემო აღნიშნულ წლოვანებას მიაღწევენ, უფლება აქვთ რუსეთის ქვეშევრდომობა მოითხოვონ.

2) დაწვრილებითი მხარე ამ მუხლის აღსრულების შესახებ / დამტკიცებული იქნება განსაკუთრებულ შეთანხმებით ორივე ხელშემკვრელ მხარეს შორის.

3) ორივე ხელშემკვრელ მხარის მოქალაქენი, რომელთაც სურთ ისარგებლონ ამ მუხლით მინიჭებულ უფლებით, ვალდებულნი იქნებიან აღასრულონ სავალდებულო ფორმალობა ერთი წლის განმავლობაში ამა მუხლის მეორე პუნქტის თანახმად მომხდარ შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი X.

საქართველო ვალდებულია გაანთავისუფლოს სასჯელისაგან და აგრეთვე შემდეგში სასამართლო ან ადმინისტრატიული წესით დევნისაგან ყველა პირები, რომლებიც იდევნებოდენ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტურ პარტიის სასარგებლო მოქმედებისათვის.

<u>შენიშვნა:</u> საქართველო ვალდებულია დაუყოვნებლივ გაანთავისუფ-

ლოს საპყრობილეთაგან ყველა პირები, რომლებსაც ბრალდებათ ზემო აღნიშნული ხასიათის მოქმედებანი.

მუხლი XI

ყოველი შემკვრელი მხარე ვალდებულია, იცნოს და პატივით მოეპყრას მხარეთა დროშას და ღერბს, როგორც მეგობარ სახელმწიფოთა ემბლემებს. დროშის და ღერბის ნიშნები ან ცვლილებანი, რომლებიც შესაძლებელია შეტანილი იქნეს შიგ, უნდა აცნობონ ერთმანეთს დიპლომატიური გზით.

მუხლი XII.

ეკონომიური დამოკიდებულებანი საქართველოსა და რუსეთს შორის განისაზღვრება დროებით, ორ ხელშემკვრელ მხარეთა შორის განსაკუთრებულ ხელშეკრულების დადებამდე, რისთვისაც უახლოეს დროში უნდა იქნეს მიღებული აუცილებელი ზომები, და რომელსაც უნდა დაედვას საფუძვლად ქვემო მოყვანილი საერთო დებულებანი:

1) ორივე ხელშემკვრელი მხარე ურთიერთ შორის სავაჭრო დამოკიდებულებას საფუძვლად უდევს უდიდეს ხელის შეწყობის პრინციპს.

2) იმ საქონელს, რომელიც მიაქვთ ერთ-ერთ ხელშემკვრელ მხარეებიდან დანიშნულებისამებრ მეორე მხარემ არავითარი სატრანზიტო ბაჟი და გადასახადი არ უნდა დაადვას.

მუხლი XIII.

ხსენებულ ხელშეკრულების მე-12-ე მუხლში აღნიშნული 1 და 2 პუნქტები უნდა დაედვას საფუძვლად სავაჭრო ხელშეკრულებას, რომელიც იმავე მე-12-ე მუხლის ძალით უნდა დადებულ იქნას ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის.

მუხლი XIV.

დიპლომატიური და საკონსულო დამოკიდებულებანი

საქართველოს და რუსეთს შორის უნდა აღდგენილ იქნეს უახლოეს დროში, ორ ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთ შორის კონსულების დამოკიდებულების შესახებ განსაკუთრებულ შეთანხმების დადებამდე, რისთვისაც მიღებული უნდა იქნეს ყოველგვარი ზომა, მათი უფლებანი და ვალდებულებანი განისაზღვრებიან ამავე საგანზე ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის არსებულ კანონმდებლობით.

მუხლი XV.

საჯარო უფლებრივი და კერძო უფლებრივი ხასიათის იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც აღიძრება ორ ხელშემკვრელ მხარის მოქალაქეთა შორის, და აგრეთვე ზოგიერთ ცალკე საკითხების მოწესრიგება ორ სახელმწიფოს შორის, დაევალება განსაკუთრებულ შერეულ ქართულ-რუსულ კომისიას, რომელიც დაარსდება უახლოეს დროში ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ.

შემადგენლობა, უფლება და ვალდებულებანი ამ კომისიისა განისაზღვრება განსაკუთრებულ ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცდება ცალკე კომისიისათვის ორ ხელშემკვრელ მხარის შეთანხმებით.

ხსენებულ კომისიებს დაევალება სხვათა შორის:

1) სავაჭრო და სხვა ეკონომიური ხასიათის შეთანხმების შედგენა.

2) მოწესრიგება საკითხებისა, რომელიც შეეხება ყოფილ ცენტრალურ არქივების საქმის საწარმოებელ დაწესებულებათაგან სასამართლო და ადმინისტრატიულ დეპოზიტების და აგრეთვე სამოქალაქო მდგომარეობის აქტების გამოყოფას.

3) გამორკვევა საკითხისა ბათომ-ბაქოს ნავთსადენის იმ ნაწილის მფლობელობის, განკარგულების და მოხმარების წესის შესახებ, რომელიც თანახმად ხსენებულ ხელშეკრულების 4 მუხლისა იარსებებს საქართველოს ტერიტორიაზე. ეს საკითხი დამტკიცებული იქნება შემდეგ საბოლოოდ განსაკუთრებულ შეთანხმებით ორ ხელშემკვრელ მხარის შორის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუხლი XVI.

ხსენებული ხელშეკრულება შევა ძალაში თვით ფაქტის ძალით და ხელის მოწერის მომენტიდან, და საჭირო არ იქნება განსაკუთრებული რატიფიკაცია. რის დასამტკიცებლად ორივე მხარის რწმუნებულებმა მოაწერეს ხელი და თავის ბეჭდები დაასვეს. შედგენილია მოსკოვში 1920 წელს, 7 მაისს, ორ ეკზემპლიარად.

გ.ურატაძე **ლ.კარახანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წელს 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება*

ქვემორე ხელის მომწერნი, რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელი, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ლევ მიხეილის-ძე კარახანი და დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი, დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილარიონის-ძე ურატაძე, რომელთაც გაითვალისწინეს, რომ რუსეთის მთავრობამ მიიღო წინასწარი თანხმობა აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკიდან ქვემო მოყვანილ მუხლების შინაარსის შესახებ შეთანხმდნენ შემდეგში:

მუხლი 1. საქართველოს და აზერბეიჯანის საზღვრების, და ზაქათალის ოლქის, სადავო ნაწილების საკითხი გადაეცემა გადასაწყვეტად შერეულ კომისიას, რომელიც შედგება საქართველოს და აზერბეიჯანის თანაბარ რიცხვის წარმომადგენლებისაგან, რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. ამ კომისიის ყველა გადაწყვეტილება უნდა იქმნეს აღიარებული სავალდებულოთ როგორც საქართველოსათვის ისე აზერბეიჯანისათვის.

მუხლი 2. სანამ კომისია არ მიიღებს რაიმე დადგენილებას ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში აღნიშნულ საკითხებზე, საქართველომ და აზერბეიჯანმა არ უნდა შეიყვანონ ზაქათალის ოლქში ახალი ჯარები გარდა იმ ჯარებისა, რომელიც უკვე იმყოფება ამ ოლქში დამატებითი შეთანხმების ხელის მოწერის დროს.

მუხლი 3. აღნიშნული დამატებითი შეთანხმება ჩაითვლება განუყოფელ ნაწილად იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დადებული იქმნა მოსკოვში რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წელს 7 მაისს, და ხსენებულ შეთანხმებასთან ერთად შედის ძალაში თვით ფაქტის ძალით ხელმოწერის მომენტიდან და

---

*გამოქვეყნებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ყოველდღიურ გაზეთ "კომუნისტში" 1920 წლის 8 ივნისს (№3), აგრეთვე გაზეთ "ერთობაში" 1920 წლის 8 ივნისს (№126)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



არ საჭიროებს განსაკუთრებულ რატიფიკაციას, რის დასამტკიცებლად ორივე მხარის რწმუნებულებმა მოაწერეს ხელი საკუთარის ხელით და თავის ბეჭდები დაასვეს.

შედგენილია მოსკოვში 1920 წელს 12 მაისს ორ ეგზემპლიარათ.

გ. ურატაძე. **ლ. კარახანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზავო ხელშეკრულება დადებული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ადერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას შორის*

ერთი მხრით ადერბეიჯანის სოციალისტურმა საბჭოთა რესპუბლიკამ მისი სარევოლიუციო კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერის, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მირზა-დაუთ ჰუსეინოვის სახით და მეორეს მხრით საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამხედრო მინისტრის გრიგოლ სპირიდონისძის ლორთქიფანიძის, დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგის სიმონ გურგენისძის მდივანისა და ალექსანდრე სიმონისძის ანდრონიკაშვილის სახით, გაიცნეს რწმუნებულებანი ურთიერთისა, სცნეს წესიერად შედგენილათ და დასდეს ქვემორე ხელშეკრულება მშვიდობის ჩამოგდებისა და მეგობრობისათვის:

1.

ადერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შორის ისპობა ყოველივე საომარი მოქმედება და ორივე მხარენი იწყებენ მტკიცე სამშვიდობო და სამეგობრო ურთიერთობას. ტყვედ წაყვანილებს ორნივე ერთმანეთს დაუყოვნებლივ უბრუნებენ.

2.

ადერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის საზღვრად

---

* გამოქვეყნებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ყოველდღიურ გაზეთ "საქართველოს კომუნისტში" 1920 წლის 29 ივნისს (№10). საქართველოს მთავრობამ ს.დ.მ.პ. მეორე ყრილობის 1920 წლის 17 ივნისის სხდომაზე დაამტკიცა საქართველოსა და ადერბეიჯანს შორის დადებული ხელშეკრულება დამატებითი შეთანხმებით და სარატიფიკაციოდ გადასცა დამფუძნებელ კრებას. (იხ. საქართველოს სოციალურ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაზეთი "ერთობა" 1920 წლის 25 ივნისი №141) აღნიშნულ გაზეთში გამოქვეყნებულ საზავო ხელშეკრულებაში აზერბაიჯანი მოიხსენიება ზოგან ადერბეიჯანად, ზოგან აზერბაიჯანად.

დაიდო: ბორჩალოსა და ყაზახის მაზრებს შორის გავლებული საადმინისტრაციო ხაზი, რომელიც იწყება სომხეთის ზონიდან, გადადის პოვერჩაშის მთაზედ, შემდეგ გადაივლის ვარტიშის მთას საადმინისტრაციო საზღვრის ხაზით ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმართული წყაროებამდე; ეს წყაროები ორის ვერსის მანძილზეა ყიზილჩაის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთით; იქიდან საზღვარი მოდის პირობით ნაგულისხმევი ხაზით ტარსისა და ბაბა-კირის მთების ქედს გადაღმა მის აღმოსავლეთით ფერდობებზე, წითელ ხიდს შუა გაუვლის მერმე გაჰყვება ძველ საზღვარს, რომელიც ხრამსა და მტკვარს მისდევს. შემდეგ ფოილოს ხიდს გაუვლის შუაზე, იქიდან წავა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ძველ საადმინისტრაციო საზღვრით იალაჯისის ქედამდე, მერე სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაუხვევს ძველ საადმინისტრაციო საზღვრით პალან-ტუკენის მთის სამხრეთ კალთების ბოლომდის, მერე გაემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ საადმინისტრაციო ხაზით და ასე მიდის ზაქათალის ოლქის მიჯნამდე (რუქა დიუიმ 5 ვერსიანის).

3.

წითელი ხიდისა და ფოილოს ხიდის წინა მდებარე ზონები აგრეთვე მტკვრის მარცხენა ნაპირი აზერბაიჯანის მიწა-წყალზედ ნეიტრალ ადგილებად ცნობილ იქმნა ერთის წლის განმავლობაში დღიდან ამ ხელშეკრულების დადებისა შემდეგ საზღვართა შორის:

1) ყაზახის მაზრაში ის მიწა-წყალი, რომელიც შემოზღუდულია ინჯა-სუს მდინარითა და ბორჩალოსა და თბილ. მაზრის საადმინისტრაციო საზღვრითა,

2) ყაზახის მაზრაში ის რაიონი, რომელსაც საზღვრავს ხაზი სოფელ ყიზილ-ჰაჯალისა, ფეიქალისა, სადგ. შაქარლი და ლლია მტკვრისა იმ ჭალებთანა, რომელიც ჰასან-სუს შესართავის დასავლეთით იმყოფება, იქიდან პირდაპირი ხაზი წავა ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩობან-დალის ქედის დასავლეთ კალთების ბოლომდის და შემდეგ ჩობან-დალის ქედით სამხრეთ-აღმისავლეთის მიმართულებით სილნალის მაზრის საადმინისტრაციო

მიჯნამდე. ყველა ჩამოთვლილი სანაპირო დასახლებული ადგილია განსაკუთრებით (იხ. რუქა დიუმ. 5 ვერსიანი).

4.

მე-3 პუნქტში აღნიშნული ნეიტრალური ზონების ტერიტორიაზედ არ შეიძლება არავითარი სიმაგრის აგება და არც ჯარის შეყვანა; ადმინისტრაცია და მართველობა კი აზერბაიჯანისა უნდა დარჩეს.
<u>შენიშვნა:</u> ამ მუხლის მტკიცედ აღსრულებისათვის თვალყურის სადევნებლათ არსდება განსაკუთრებული შერეული კომისია, რომელშიაც ოთხი კაცი უნდა იყოს, ორ-ორი თითო მხრიდან.

5.

წითელ ხიდს საქართველოს მიწა-წყლიდან იცავს ქართველთა სადარაჯო; მხოლოდ აზერბაიჯანის მხრიდან - აზერბაიჯანის სადარაჯო; საქართველოს უფლება აქვს ხიდით თავისუფლად ისარგებლოს ტარხისა და ბაბა-ყირის მთაში მიმოსვლისათვის.

6.

საკითხი ზაქათალის ოლქის შესახებ უნდა გადაეცეს გადასაჭრელად საარბიტრო კომისიას; ეს კომისია გათვალისწინებულია დამატებითი შეთანხმებით, რომელიც დაიდო რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის მაისის 12-ის თარიღით. ვიდრე ეს საქმე არ გადასწყდება საარბიტრო კომისიაში არცერთ მორიგებაში მონაწილე მხარეს ნება არ აქვს ახალი ჯარი შეიყვანოს ზაქათალის ოლქში, თანახმად მოსკოვის დამატებითი შეთანხმების მეორე პუნქტისა 1920 წლის მაისის 12-ის თარიღით.
<u>შენიშვნა I:</u> ეს მუხლი ჩართული იქნა ამ ხელშეკრულებაში იმიტომ, რომ ზაქათალის საქმის გამო სხვა და სხვა აზრს დაადგენენ დელეგაციები აზერბაიჯანის სოციალისტურ საბჭოთა

რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისა, როცა შეუდგნენ მოსკოვის 1920 წლის მაისის ხელშეკრულების მეოთხე მუხლისა და მის დამატებათ 1920 წლის მაისის 12-ს თარიღით შეკრულ შეთანხმების პირველ მუხლის განმარტებას; აგრეთვე იმ მიზეზითაც, რომ არსებითად ამ საადაო საგნის გამო შეთანხმება ვერ მოხერხდა.

<u>შენიშვნა 2:</u> ამ მუხლის მტკიცედ აღსრულებისათვის თვალყურის სადევნებლად, რათა ოლქში ახალი ჯარის შეყვანა არ იქნეს, არსდება განსაკუთრებული საკონტროლო კომისია; კომისიაში ოთხი კაცი უნდა იყოს ორ-ორი თითო მხრიდან.

7.

ადერბეიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ყოველ დავის გარეშე ერთიც და მეორეც აღიარებენ ხელშეკრულობის დამდებ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობასა და სუვერენობას და ერთიც და მეორეც უარს ამბობენ ერთი მეორის შინაურ საქმეებში ჩარევაზე.

8.

თითეული ხელშკრულების დამდებთაგანი მოვალეობასა ტვირთულობს შეიწყნარებდეს და პატივსა სცემდეს ერთმანეთის დროშასა და ღერბს, ვითა სუვერენობით მოსილ სახელმწიფოსა ნიშნავს. დროშის და ღერბის სურათი, აგრეთვე თუ შემდეგ შიგ ჩართული იქნება რაიმე ცვლილება, დიპლომატიურის გზით უნდა აუწყონ ერთმანეთს.

9.

სადიპლომატიო და საკონსულო ურთიერთობა ადერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დაუყონებლივ მყარდება საზავო ხელშეკრულების ხელისმოწერისთანავე; ვიდრე ცალკე შეთანხმება მოხდებოდეს ურთიერთის მდგომარეობის კონსულებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დიპლომატიურ წარმომადგენელთა უფლება–მოვალეობა-სათვის, მათ მოქმედებისა და საქმიანობას არსებული ნორმები და კანონდებულებანი უნდა აწესრიგებდნენ.

10.

ადერბეიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ერთი-მეორეს წინაშე ტვირთულობენ მოვალეობას რათა არ მისცენ ნება თავიანთ მიწა-წყალზე არსებობისა და მოღვაწეობისა ყოველგვარ ჯგუფებს, ორგანიზაციას ანუ პიროვნებას, რომელნიც ლამობენ ადერბეიჯანის, ანუ საქართველოს მთავრობის როლი მიითვისონ, აგრეთვე არ დაუშვან არავითარი ჯგუფის ორგანიზაციის, ანუ პიროვნების არსებობა, რომელთაც ხელშეკრულების დამდები რესპუბლიკების მთავრობათა დამხობა აქვთ მიზნათ დასახული.

11.

ადერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ტვირთულობენ ერთი-მეორეს წინაშე მოვალეობას არავითარი შემწეობა არ აღმოუჩინონ იმ ჯგუფებს, ორგანიზაციებს და ცალკე პირებს, რომელნიც ლამობენ მიითვისონ როლი ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოთა მთავრობისა, ანუ ცდილობენ რათა დაამხონ მათი მთავრობანი.

12.

ორივე ხელშეკრულების დამდები მხარე თავიანთ სავაჭროსა და ეკონომიურ ურთიერთობის საფუძვლად სდებს ერთმანეთის უაღრესად ხელის შეწყობის პრინციპს, და შეძლებისამებრ სავაჭრო საქონლის ერთმანეთში გაცვლა-გამოცვლის პრინციპს.

13.

ვიდრე შემუშავებულ და ხელმოწერილ იქნებოდეს სა-

ვაჭრო-სატრანზიტო ხელშეკრულება, ხელშეკრულების დამდებთა შორის უნდა ძალა ჰქონდეს თავისუფალ ტრანზიტის პრინციპს.

14.

ორსავე ხელშეკრულების დამდებ მხარეს პრინციპიალურად სავალდებულოდ მიაჩნიათ დაუბრუნონ ერთმანეთს ის ქონება, რომელიც ეკუთვნის ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთს მხარეს და რომელიც ომის მიზეზით დარჩა მეორე სახელმწიფოს მიწა-წყალზე.

პრინციპიალადვე სავალდებულოდ მიაჩნიათ, რომ აუნაზღაურონ ერთი მეორეს ის ზარალი, რომელიც მოუვიდათ სახელმწიფოს-სახელმწიფო საზოგადოებრივ, საერობო, საქალაქო დაწესებულებათა და მათ კავშირთა. აგრეთვე საკოოპერაციო ორგანიზაციების ნაციონალიზაციით, ყადალის დადებით, რეკვიზიციით, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების რომელისამე ორგანოს განკარგულებითა და მოქმედებით, თუ ამისთანა რამ მოხდა მეორე სახელმწიფოში: თვით წესი და ნორმები ასეთის ზარალის ანაზღაურებისა უნდა შემუშავებულ იქმნას მხარეთაგან შეთანხმებით არჩეულ კომისიის მიერ; ამავე კომისიამ უნდა შეიმუშავოს რა ნორმებით აუნაზღაურდეს ზარალი აგრეთვე სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათაც; ანგარიშები და ვალი, რომელიც ომამდე არსებობდა აზერბაიჯანის და საქართველოს შორის გასწორებულ და აღსრულებულ იქმნას ურთიერთს შორის ხელშეკრულების დამდებთა მიერ.

15.

ის საქმენი საჯარო უფლებრივისა და კერძო უფლებრივი ხასიათისა, რომელიც იჩენს თავს ერთისა და მეორე სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის, აგრეთვე ერთის სახელმწიფოს მოქალაქეთა და მეორე სახელმწიფოს შორის, აგრეთვე ცალკე საქმენი, რომელნიც იჩენენ თავს ხელშეკრულობის დამდებ რესპუბლიკათა შორის, განხილულ-გადაწყვეტილი უნდა იქნენ ადერბეიჯან-საქართველოს შერეული კომისიის მიერ: ეს კომისია უნდა შესდგეს ორივ მხრით წარმომადგენლებისაგან თანაბარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენობითა და ასრულებდეს თავის მოვალეობას, ვიდრე თვითვე შეიმუშავებდეს ზემოხსენებულ საქმეთათვის განსაკუთრებული შეთანხმების დებულებას.

16.

ვიდრე განსაკუთრებულ შეთანხმებაზედ დამყარებული დებულება იქნება შემუშავებული ადერბეიჯანის მომთაბარე ერთათვის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნებას აძლევს ამ ერთ თავისუფლად და დაუბრკოლებრივ სარგებლობდნენ იალაღ საძოვრებსა იმავე პირობით, რა პირობითაც არსებობს საქართველოში ქვეშევრდომ მომთაბარეთათვის.

17.

ორისავე ხელშეკრულების დამდებ მხარის მოქალაქეებს, რა გვარიც უნდა იყოს მათი საზოგადოებრივი და სამსახურის მდგომარეობა, ნება აქვთ დაუბრკოლებრივ წავიდენ თავიანთ სამშობლოში: ამასთანავე უფლება აქვთ წაიღონ თავიანთი საკუთარი ქონება იმ წესთა და ნორმათა მიხედვით, რომელიც შემოღებული იქნება ორისავე მხარის თანაბარ რაოდენობის წარმომადგენელთა შერეული კომისიის მიერ.

18.

ხელშეკრულება ესე ძალაში შედის იმ დროიდან, რა დროსაც ხელმოწერილი იქნება და რატიფიკაცია უნდა ექნეს; რატიფიკაციათა გაცვლა უნდა მოხდეს თფილისში ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ საზავო ხელშეკრულების ხელისმოწერისა. ივნისის 12, 1920 წელი. სად. აქსტაფა.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი:

გრიგოლ სპირიდონისძე ლორთქიფანიძე,

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის

ამხანაგი სიმონ გურგენის-ძე მდივანი,

ალექსანდრე სიმონის-ძე ანდრონიკაშვილი.

ა.ს.ს.რ. სარევოლიუციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე საგარეო საქმეთა სამხედრო კომისარი **მირზა დაუთ ჰუსეინოვი.**

1920 წლის 12 ივნისის თარიღით დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების დამატებითი მორიგება აზერბაიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.

ერთის მხრით აზერბაიჯანის სოციალისტურმა საბჭოთა რესპუბლიკამ, წარმოდგენილმა აზერბაიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სარევოლიუციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მირზა დაუთ ჰუსეინოვის სახითა და მეორეს მხრით საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამხედრო მინისტრის გრიგოლ სპირიდონის ძის ლორთქიფანიძის, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგის სიმონ გურგენის ძის მდივანისა და ალექსანდრე სიმონის ძის ანდრონიკაშვილის სახითა დასდეს შემდეგი ქვემორე შეთანხმების პირობა:

I

აზერბაიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა — ვიდრე შემუშავდებოდეს და ხელმოწერილ იქმნებოდეს სავაჭრო — სატრანზიტო ხელშეკრულება აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის, აძლევს ამ უკანასკნელს ერთს მილიონ ფუთს ნავთსა და ნავთის პროდუქტებს იმ ფასად, რა ფასიც დაწესდება სავაჭრო-სატრანზიტო ხელშეკრულებით, რომელიც უნდა იქმნას დადებული უმოკლეს ვადაზედ არა უგვიანეს ერთი თვისა დღიდან ამ შეთანხმების ხელმოწერისა.

II

აზერბაიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, ვიდრე შემუშავდებოდეს და ხელ-მოწერილ იქმნებოდეს სავაჭრო-სატრანზიტო ხელშეკრულება, აძლევს ერთის თვის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას კიდევ ერთ მილიონამდე ფუთს ნავთსა და მის პროდეუქტებს, გარდა პირველ მუხლში მოხსენებულ ნავთის რაოდენობისა. ამ დამატებით მიცემულ ნავთის რაოდენობის სამაგიეროდ საქართველო ტვირთულობს მოვა-

ლეობას ერთიდან ორის თვის ვადამდე დღიდან ამ შეთანხმების ხელმოწერისა მისცეს აზერბაიჯანს იმავ ღირებულობის რაოდენობა მანუფაქტურისა და ქალალდისა. ერთნაირი, ეკვივალენტური ღირებულობა ხელშეკრულების დამდებთა შორის გასაცვლელ საქონლისა, წესი და ნორმები ანგარიშების გასწორებისა მათ შორის ამ მხრივ ცალკე კომისიის მიერ უნდა იქმნას დადგენილ-შემუშავებული.

III

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კისრულობს ფოილოს ხიდის აღდგენას, ხოლო ხიდის აღდგენისათვის საჭირო ხარჯი ორმავე ხელშეკრულების დამდებმა მხარემ სანახევროდ უნდა გაიღონ, მუშაობის წარმოებას კი თვალყური უნდა ადევნოს ორისავე მხრივ სპეციალისტების შერეულმა კომისიამ.

IV

წესი და ნორმები იმ ზარალის ანაზღაურებისა, რომელიც მოუვიდათ ერთის მხარის მოქალაქეებს მეორე მხარის სახელმწიფო ხელისუფლების მოქმედებათა და განკარგულებით იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ხელმოწერილი იქნებოდა ეს ხელშეკრულება, უნდა განსაზღვროს სპეციალურმა კომისიამ, ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოთა შეთანხმებით შემდგარმა, ხოლო ანაზღაურება, ზარალისა რომელიც შესაძლოა შემდეგში მოუვიდეთ ხელშეკრულების დამდებ რესპუბლიკათა ცალკე მოქალაქეებს ერთ-ერთის მხარის სახელმწიფო ხელისუფლების მოქმედებითა და განკარგულებით შემდგომათ ამ შეთანხმებაზე ხელისმოწერისა, ისეთს საფუძველზედ უნდა სწარმოებდეს, რომელიც იქმნება შემუშავებული აზერბაიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ სხვათა სახელმწიფოთა მოქალაქეთათვის.

1920 წელსა, ივნისის 12-სა დღესა სად. აქსტაფა.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი
გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძე
საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგი
სვიმონ გურგენის ძე მდივანი
ალექსანდრე სიმონის-ძე ანდრონიკაშვილი

ა.ს.ს.რ. სარევოლიუციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი **მირზა დაუთ ჰუსეინოვი.**

საქართველოს დამფუძნებელი კრება

რატიფიკაცია

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და აზერბეიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობათა შორის სადგურ აქსტაფას ამა ათას ცხრაას ოცი წლის ივნისის თორმეტს დადებული საზავო ხელშეკრულება დამტკიცებულ იქნას.

1920 წლის ივნისის 25

დედანს ხელს აწერს საქართველოს დამფუძნებელი კრების
თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კონსტიტუცია

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ

1921 წლის 21 თებერვალს

(ამონაკრები)

თ ა ვ ი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.

მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

მუხლი 6. სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია.

სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება ან სადავო საზღვრების შესწორება შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

მუხლი 7. ადმინისტრაციული დაყოფა და თვითმართველ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

მუხლი 8. კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედა აზრის წინააღმდეგია.

კონსტიტუციის შესრულება და მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს.

მუხლი 9. კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული და გამოქვეყნებული კანონი და დეკრეტი ძალაში რჩება, უკეთუ კონსტიტუციასა და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

მუხლი 10. ეს კონსტიტუცია ძალაშია მუდმივ და შეუწყვეტლივ, იმ შემთხვევის გარდა, რომელიც ამავე კონსტიტუციას აქვს გათვალისწინებული.

მუხლი 11. დამტკიცებისა და მიღების შემდეგ კონსტიტუციას აქვეყნებს დამფუძნებელი კრება თავის წევრთა ხელმოწერით.

თ ა ვ ი IV

პარლამენტი

მუხლი 54. პარლამენტის უფლებაა:

ა) კანონმდებლობა;

ბ) უმაღლესი გამგებლობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველი შეიარაღებული ძალისა;

გ) ომის გამოცხადება;

დ) დამტკიცება საზავო; სავაჭრო და ამგვარ ხალშეკრულებისა უცხო სახელმწიფოებთან;

ე) ამნისტია;

ვ) ბიუჯეტის დამტკიცება;

ზ) საშინაო და საგარეო სესხის აღება;

თ) თანამდებობის პირთა არჩევა, კონსტიტუციით ან კანონით მისდა მიკუთვნებული, და

ი) საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა.

თ ა ვ ი V

აღმასრულებელი ხელისუფლება

მუხლი 66. უმაღლესი მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას.

მუხლი 72. მთავრობის საერთო უფლება და მოვალეობაა:

ა) რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა;

ბ) თვალ-ყურის დევნა და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა;

გ) დაცვა რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა.

ე) უზრუნველყოფა რესპუბლიკისა გარეშე განსაცდელისაგან და დაცვა მისი დამოუკიდებლობისა;

ვ) ზრუნვა შინაური წესიერებისა და უშიშროების დაცვისათვის. მოულოდნელ შემთხვევაში, თუ საჭიროებამ მოითხოვა, მთავრობას უფლება აქვს თავის დადგენილებით გამოიყვანოს შეიარაღებული ძალა, ვადით არა უმეტეს 21 დღისა. უკეთუ მეტის ვადით დასჭირდა, პარლამენტისაგან უნდა მიიღოს ნებართვა.

თ ა ვ ი IX

სახელმწიფო თავდაცვა

მუხლი 94. ყველა მოქალაქე რესპუბლიკისა ვალდებულია პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა კანონის თანახმად.

მუხლი 95. სამხედრო ძალთა დანიშნულება არის დაცვა რესპუბლიკისა და მისი ტერიტორიისა.

მუხლი 96. სამხედრო ბეგარის ვადა და სამხედრო ძალთა ყოველი მოწყობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 97. სამხედრო ბეგარის მოსაწვევად გასაწვევ ახალგაზრდათა რაოდენობას ყოველწლივ პარლამენტი ამტკიცებს.

თ ა ვ ი XI

ავტონომიური მმართველობა

მუხლი 107. საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს სოხუმის ოლქი, სამუსლიმანო საქართვე-

ლოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი), ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.

მუხლი 108. წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მართველობათა დებულებანი შემუშავებულ იქნება ცალკე კანონით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელშეკრულება

სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკებისა ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობასთან *

მთავრობანი სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბ-ლიკისა, აზერბაიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა ერთის მხრივ, და ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა მეორეს მხრივ; ინაწილებენ რა ერთა ძმობის პრინციპს, და სცნობენ რა ყოველი ხალხისათვის, თვითგამორკვევის უფლებას, გამსჭვალულნი სურვილით, რომ მათ შორის დადგენილ იქნეს მუდმივი მეგობრული ურთიერთობა, და განუწყვეტლივი გულწრფელი მეგობრობა, დამყარებულ ურთიერთ ინტერესებზე, შეუდგნენ მოლაპარაკებას; რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის მონაწილეობით, რათა დასდონ ხელშეკრულება და ამ მიზნით დანიშნეს, თავიანთ რწმუნებულად:

სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: ასკანაზ მრავიანი, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი, და პოლოს მაკინციანი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

---

* გამოქვეყნებულია ს.კ.პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საქრევკომის გაზეთი "კომუნისტში" 1921 წლის 21 ოქტომბერს (№191) სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის I-ლი საგანგებო სესიის 1922 წლის 4 აპრილის სხდომაზე დღის წესრიგის მე-2 საკითხზე ამიერკავკასიათა რესპუბლიკების და ოსმალეთის (ანგორის მთავრობის) შორის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, მოხსენება გააკეთა შ. ელიავამ. კამათში მონაწილეობდნენ ორახელაშვილი, ხიმშიაშვილი, სიმ. ხუნდაძე და სხვ., სადაც დამტკიცებული იქნა 1921 წლის ოქტომბრის 13-ს ხელმოწერილი ერთის მხრივ ოსმალეთის დიდი ეროვნული საბჭოსა და მეორეს მხრივ ამიერკავკასიის—საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის შორის ხელშეკრულების ძირითადი ტექსტი ფრანგულ ენაზე დაწერილი და წინადადება მისცა სახელმწიფო ყველა ორგანოებს სისწორით გაატარონ ის ცხოვრებაში. მიღებული იქნა ერთხმად. თავი შეიკავა სამმა.

ხელს აწერენ თავმჯდომარე ფ. მახარაძე, მდივანი თ. კალანდაძე, სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა ერევანში 1922 წლის 11 სექტემბერს, რის შემდეგაც ხელშეკრულება ძალაში შევიდა -Дипломатичсекий словарь, Издательство "Наука", 1985 г.стр.20.(КАРСКИЙ ДОГОВОР); ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, გვ. 630 ყარსის ხელშეკრულება"

აზერბაიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: **ბეჰბუთ შახტახტინსკი**, მუშათა ინსპექციის სახალხო კომისარი.;

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: **შალვა ელიავა**, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი, და **ალექსანდრე სვანიძე**, გარეშე საქმეთა და ფინანსთა სახალხო კომისარი;

ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობამ: **კაიზიმ კარა ბექირ-ფაშა**, ანდრიანოპოლის დეპუტატი დიდ ეროვნულ ყრილობაში, აღმოსავლეთ ფრონტის სარდალი.

ველი-ბეი, ბურდურის დეპუტატი დიდ ეროვნულ ყრილობაში;

მუხთარ-ბეი, საზოგადო სამუშაოთა მინისტრის ყოფილი ამხანაგი,

მემხუდ-შევკეთ-ბეი, ოსმალეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი აზერბაიჯანში;

რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: **იაკობ განეცკი**, რ.ს.ფ.ს.რ.-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში; რომელნიც უფლება მოსილობის საბუთების გაცვლის შემდეგ, რაიცა სათანადო და კანონიერი ფორმით შესრულებულად იქმნა ცნობილი, შეთანხმდნენ შემდეგში:

მუხლი 1.

ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა და სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობანი სცნობენ გაბათილებულად და ძალა დაკარგულად ყველა ხელშეკრულებებს, რომელნიც დადებული იყო იმ მთავრობათა მიერ, რომელნიც წინათ ანხორციელებდნენ სუვერენიტეტს ხელშემკვრელ მხარეების ტერიტორიაზე, და რომელი ხელშეკრულებანიც ეხებოდა ხსენებულ ტერიტორიებს; აგრეთვე იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც დადებული იყო მესამე სახელმწიფოებთან და შეეხებიან ამიერკავკასიის რესპუბლიკებს.

აღიარებულია, რომ რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება, ხელმოწერილი მოსკოვში 1921 (1337) წლის 16 მარტს, ამ მუხლის მოქმედებას არ ექვემდებარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 2.

ხელშემკვრელი მხარეები სთანხმდებიან არა სცნონ არავითარი საზავო ხელშეკრულება, ან სხვა გვარი საერთაშორისო აქტი; უკეთუ მის მიღებას ძალით აიძულებენ რომელსამე ხელშემკვრელ მხარეს.

ამის ძალით სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკათა მთავრობანი სთანხმდებიან, არ სცნონ არავითარი საერთაშორისო აქტები, რომლებიც ოსმალეთს შეეხებიან, და არ არიან ცნობილნი ოსმალეთის ეროვნული მთავრობის მიერ, რომელსაც ამ ჟამად მისი დიდი ეროვნული ყრილობა წარმოადგენს.

ამ ხელშეკრულებაში ოსმალეთად იგულისხმება ტერიტორიები განსაზღვრული 1920 (1336) წლის 28 იანვრის ოსმალეთის ეროვნულ შეთანხმებაში, რომელიც შემუშავებული და გამოცხადებული იყო ოტტომანთა დეპუტატების პალატაში კონსტანტინოპოლში და რომელიც ეცნობა პრესას და ყველა სახელმწიფოებს.

თავისი მხრით ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა სთანხმდება არ სცნოს არავითარი საერთაშორისო აქტები, რომლებიც ეხებიან სომხეთს, აზერბაიჯანს და საქართველოს, და არ არიან ცნობილნი ამ რესპუბლიკათა სათანადო მთავრობათა მიერ, რომელთაც დღეს სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს საბჭოთა მთავრობანი წარმოადგენენ.

მუხლი 3.

სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობანი სცნობენ, რომ კაპიტულიაციის რეჟიმი არ შეეფერება არც ერთი ქვეყნის თავისუფალ ეროვნულ განვითარებას და აგრეთვე მის სუვერენული უფლებების სრულ განხორციელებას და ძალა დაკარგულად და გაუქმებულად მიაჩნიათ ყოველგვარი მოქმედებანი და უფლებანი, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება აქვს ამ რეჟიმთან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 4.

ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი (რუსეთის გენერალური შტაბის რუქით 1/210.000 5 ვერსი 1 დიუმზე) განისაზღვრება ხაზით, რომელიც იწყება შავ-ზღვის პირას მდებარე სოფელ სარფთან, გაივლის მთა ხედის-მთაზე, წყალთა გამყოფი ხაზით. მთაშავშეთი — მთა კანნი-დალი, იგი მიჰყება შემდეგ წინანდელ ჩრდილოეთ-ადმინისტრატიულ საზღვარს არტაანის და ყარსის ოლქებისას — მდინარე არფა ჩაისა და არაქსის ტალვეგზე ქვემო ყარა-სუს შესაფარავამდე, დაწვრილებითი აღწერა საზღვრისა და მასთან დაკავშირებული კითხვები განსაზღვრულია დანართებში I და II, და თან დართულ რუქაზე, რომელიც ხელმოწერილია ორივე ხელშემკვრელი მხარეებისაგან. უკეთუ ხელშეკრულების ტექსტსა და რუქას შუა აღმოჩნდება განსხვავება, ხელშეკრულების ტექსტს ეძლევა რუქის წინაშე უპირატესობა, შერეულ სასაზღვრო კომისიას, რომელიც შემდგარი იქნება წევრების თანაბარი რიცხვებისაგან რ.ს.ფ.ს.რ.-ის წარმომადგენლის მონაწილეობით, ევალება გაარკვიოს დაწვრილებით და ადგილობრივ გაატაროს სახელმწიფოს საზღვარი, და აგრეთვე დასდგას მიჯნები.

(დანართი: IV რუქა).

მუხლი 5.

ოსმალეთის მთავრობა და აზერბეიჯანისა და სომხეთის საბჭოთა მთავრობანი სთანხმდებიან, რომ ნახიჩევანის მხარე, იმ საზღვრებში, რომელიც აღნიშნულია ამ ხელშეკრულების მე-III დანართში, შეადგენს ავტონომიურ ტერიტორიას აზერბეიჯანის მფარველობის ქვეშ.

მუხლი 6.

ოსმალეთი სთანხმდება დაუთმოს საქართველოს სუვერენიტეტი ბათომის ნავთ-სადგურსა და ქალაქზე, და იმ ტერიტორიაზე რომელიც მდებარეობს ამ ხელშეკრულების მეოთხე

მუხლში ნაჩვენები საზღვრის ჩრდილოეთით და რომელიც შეიდიოდა ბათომის ოლქში, იმ პირობით, რომ:

1) მოსახლეობა იმ ადგილებისა, რომელიც ნაჩვენებია ამ მუხლში, ისარგებლებს ფართო ადგილობრივი ავტონომიით ადმინისტრატიულის მხრით, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული თემის კულტურულ და სარწმუნოებრივ უფლებებს და რომ მოსახლეობას მიეცემა საშუალება დაადგინოს ისეთი საადგილ-მამულო კანონი, რომელიც ეთანხმება მის სურვილებს;

2) ოსმალეთს მიეცემა თავისუფალი ტრანზიტი ყოველგვარი საქონლის, რომელიც იგზავნება ოსმალეთში ან ოსმალეთიდან ბათომის ნავთსადგურის გზით უბაჟოთ, რაიმე ხარჯებით დაუბეგრავად, და ოსმალეთს მიეცემა უფლება ისარგებლოს ბათომის ნავთ-სადგურით სპეციალური ხარჯების გადაუხდელად.

ამ მუხლის ცხოვრებაში გასატარებლად, ამ ხელშეკრულების ხელისმოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ შესდგება კომისია ორივე დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენელებისაგან.

მუხლი 7.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა და ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა ვალდებულებას ღებულობენ გაუადვილონ მოსაზღვრე ოლქების მცხოვრებლებს საზღვარზე გადასვლა იმ პირობით, რომ დაცული იქნება შელავათიანი საბაჟო, საპოლიციო და სანიტარული წესები, რომელთაც ამ საგნისათვის შეიმუშავებს შერეული კომისია.

მუხლი 8.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა და ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა, იღებენ რა მხედველობაში, რომ ორივე მხარის სანაპირო ოლქების მცხოვრებთათვის აუცილებელია სარგებლობა საზაფხულო და საზამთრო საძოვრები, რომლებიც საზღვრის მეორე მხარეზე იმყოფება, სთანხმდებიან მიანიჭოს იმ მცხოვრებლებს საზღვარს იქით მათი პირუტყვის გარეკის და ჩვეულებრივი

საძოვრებით სარგებლობის უფლება. საბაჟო ფორმალობა, პოლიციური, სანიტარული და სხვა წესები, რომლების დაცვაც საჭიროა საზღვარზე გადასვლის დროს, შემუშავებულ იქნება შერეული კომისიის მიერ.

მუხლი 9.

რომ უზრუნველყოფილი იქნეს სრუტეების გახსნა და მათში ყველა ხალხების თავისუფალი მიმოსვლა სავაჭრო ურთიერთობისათვის—ოსმალეთი და საქართველო სთანხმდებიან შავი ზღვისა და სრუტეების საერთაშორისო სტატუსის საბოლოო გამომუშავება გადასცენ სანაპირო ქვეყნების დელეგატებისაგან შემდგარ კონფერენციას, იმ პირობით, რომ მისგან გამოტანილი გადაწყვეტილებანი არ მიაყენებს დანაკლისს ოსმალეთის სრულ სუვერენიტეტს და აგრეთვე ოსმალეთისა და მისი სატახტო ქალაქის კონსტანტინოპოლის უშიშროებას.

მუხლი 10.

ხელშემკვრელი მხარეები სთანხმდებიან თავის ტერიტორიაზე არ მისცენ შედგენის ან ყოფნის უფლება ისეთ ორგანიზაციებს, რომლებსაც თავი მოაქვთ ხელშემკვრელ მეორე ქვეყნის ან მისი ტერიტორიის ნაწილის მთავრობად, არც ისეთ ჯგუფებს, რომლებსაც მიზნათ აქვთ ხელშემკვრელ მხარესთან ბრძოლა.

გამორკვეულად ითვლება, ამ მუხლში ხსენებულ ოსმალეთის ტერიტორიად იგულისხმება ტერიტორია, რომელიც იმყოფება ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობის უშუალო სამხედრო და სამოქალაქო გამგებლობაში.

მუხლი 11.

ხელშემკვრელ მხარეების მოქალაქეებზე, როცა ისინი მეორე მხარის ტერიტორიაზე იმყოფებიან, ვრცელდება ყველა უფლებანი და ვალდებულებანი, რომელნიც გამომდინარეობენ იმ ქვეყნის კანონებიდან, სადაც ისინი იმყოფებიან, იმ გამონაკლისით, რომ ისინი თავისუფალი არიან ეროვნული თა-

ვდაცვის ვალდებულებიდან. ამ მუხლის დადგენილებიდან გამონაკლისს შეადგენენ აგრეთვე კითხვები, რომლებიც შეეხებიან ხელშემკვრელ მხარეების მოქალაქეთა საოჯახო უფლებას, სამკვიდრეო უფლებას და ამავე მოქალაქეობის უფლება-მოსილებას.

ეს საკითხები გადაიჭრება განსაკუთრებული შეთანხმებით.

მუხლი 12.

ხელშემკვრელი მხარეები თითოეული მხარის მოქალაქეთ, რომელიც მეორე მხარის ტერიტორიაზე იმყოფებიან, აყენებენ ყველაზე უფრო კეთილგანწყობილ ერის რეჟიმის პირობებში.

ამ მუხლს მხედველობაში არა აქვს ის უფლებები, რომლებსაც საბჭოთა რესპუბლიკები თავის ტერიტორიაზე ანიჭებენ ნაცვალგებით სხვა მოკავშირე, საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებსა, აგრეთვე ის უფლებები, რომლებსაც ოსმალეთი ანიჭებს თავის მოკავშირე სამუსულმანო სახელმწიფოთა მოქალაქეთ.

მუხლი 13.

ყველ მცხოვრებს იმ ტერიტორიისას, რომელიც 1918 წლამდე რუსეთის ნაწილს შეადგენდა და რომელზედაც ოსმალეთის სუვერენიტეტია ცნობილი, საშუალება მიეცემა, თუ კი მოისურვებს, გამოვიდეს ოსმალეთის მოქალაქეობიდან, თავისუფლად დასტოვოს ოსმალეთი და წაიღოს თან თავისი ნივთები და თავისი ქონება, ან მათი ღირებულება.

აგრეთვე ყველ მცხოვრებს იმ ტერიტორიისას, რომელზედაც სუვერენიტეტი ოსმალეთმა საქართველოს დაუთმო, საშუალება მიეცემა უკეთუ მოისურვებს, გამოვიდეს საქართველოს მოქალაქეობიდან, თავისუფლად დასტოვოს საქართველოს ტერიტორია და წაიღოს თავისი ნივთები, ქონება ან მათი ღირებულება.

ზემოხსენებულ მცხოვრებთ სამხედრო ბეგარის მოხდის ვადა გადაედებათ ერთი თვით იმ დღიდან როდესაც დადგენილი წესით შეიტანენ განცხადებას, რომ მათ სურთ დასტოვონ ხსენებული ტერიტორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 14.

ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულნი არიან ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, ექვსი თვის განმავლობაში, შეკრან სპეციალური შეთანხმება 1918–1920 წლების ომების ლტოლვილთა შესახებ.

მუხლი 15.

თითოეული ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ გამოაცხადოს მეორე მხარის მოქალაქეთა სრული ამნისტია იმ დანაშაულებათათვის, რომელიც ჩადენილია კავკასიის ფრონტზე ომების გამო.

მუხლი 16.

ხელშემკვრელი მხარეები თანახმანი არიან ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ ორი თვის განმავლობაში ნაცვალგებით დააბრუნონ სამშობლოში ის სამხედრო და სამოქალაქო ტყვეები, რომლებიც დარჩენილი არიან ერთ-ერთ ხელშემკვრელ მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 17.

თავიანთ ქვეყნებს შორის მიმოსვლის და ცნობების მოწოდების განუწყვეტელობის უზრუნველსაყოფად ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ურთიერთშორის შეთანხმებით მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ შენერჩუნებულ და განვითარებული იქნეს რკინის გზის, ტელეგრაფის და საერთოდ ურთიერთობის სხვა საშუალებანი. აგრეთვე უზრუნველყოფილი იქნეს ხელშემკვრელ მხარეთა შორის ხალხის და საქონლის მოძრაობა, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. მაგრამ ამასთანავე მიღებულია, რომ როგორც მგზავრების მოძრაობის, ან ერთი ქვეყნიდან მეორეში შესვლის და უკან დაბრუნების, ისე საქონლის გადატან-გადმოტანის შესახებ, სავსებით დაცული იქნება ის წესები, რომლებიც ამის შესახებ დადგენილია ამა თუ იმ ქვეყანაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 18.

კომერციული დამოკიდებულების მოსაწყობად და ეკონომიკური, ფინანსიური და სხვა საკითხების მოსაწესრიგებლად, რაც საჭიროა ხელშეკრულობაში მონაწილე მხარეთა შორის მეგობრული განწყობილების განსამტკიცებლად, ამ ხელშეკრულების ხელისმოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ იქნება მოწვეული თბილისში კომისია დაინტერესებული ქვეყნების წარმომადგენელთაგან.

მუხლი 19.

ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულნი არიან ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ სამი თვის განმავლობაში დასდონ საკონსულო კონვენციები.

მუხლი 20.

ეს ხელშეკრულება, ოსმალეთის, სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს მთავრობას შორის დადებული საჭიროებს რატიფიკაციას.

რატიფიკაციების გაცვლა-გამოცვლა მოხდება ერევანში, რამდენადაც შესაძლებელია ახლო მომავალში.

ეს ხელშეკრულება შევა ძალაში სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ გარდა 6, 14, 15, 16, 18, და 19 მუხლ., რომლებიც დაუყოვნებლივ შედიან ძალაში ხელშეკრულების ხელისმოწერის შემდეგ.

ზემოხსენებულის დასადასტურებლად ხსენებულმა რწმუნებულებმა ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს და თავისი ბეჭდებით განამტკიცეს.

ეს ხელშეკრულება შედგენილია ქალაქ ყარსში, 5 ეგზემპლარად, 13 ოქტომბერს 1921 წლის (1337წ.).

(ა. ბ.) ა. მრავიანი, (ა. ბ.) პ. მაკინციანი, (ა. ბ.) შახტახტინსკი, (ა. ბ.) შ. ელიავა, (ა. ბ.) ა. სვანიძე, (ა. ბ.) ი. განეცკი, (ა. ბ.) კიაზიმ კარა ბექირი, (ა. ბ.) ველი, (ა. ბ.) მუხთარ, (ა. ბ.) მემხუდ-შევკეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი I.

ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი ოსმალეთისა დადგენილია შემდეგნაირად (თანახმად რუსეთის გენერალური შტაბის რუქით მასშტაბით 1/210.000—5 ვერსტი დიუიმზე).

სოფელი სარფი შავ ზღვაზე—მთა ყარაშალვარი (5—014), შემდეგ წყალთა გამყოფზე რ. ც.-სთან (Р. Ц.), რომელიც მდებარეობს სოფელ ზემო მარადასის ჩრდილოეთით, გადაჭრის მდინარე ჭოროხს სოფელ ზემო მარადასის ჩრდილოეთით და შემდეგ მისდევს სოფელ სამაურის ჩრდილოეთით, მთა ხედის მთა (7. 052)—მთა ქვაკიბე — სოფელი, ქავთარეთი — წყალთა გამყოფი ხაზი მთა მეძიბნა — მთა გერათკესუნი (6.468) — მისდევს შემდეგ მთა კოდრას (7. 910) წყალთა გამყოფ ხაზს და შავშეთის ქედის დასავლეთი შტოთი გამოდის ყოფილი ართვინის ოლქის ძველ ადმინისტრატიულ საზღვარზე, მისდევს შავშეთის ქედს, გამოდის მთაზე სარი-ჩაი (ყარა-ისსალ) (8. 478) — ყვირილის უღელტეხილი, ხოლო აქედან გამოდის ყოფილი არტაანის ოლქის ძველ ადმინისტრატიულ საზღვრებზე, მთა კანნი-დალთან, აქედან მიემართება რა ჩრდილოეთით, მიდის მთასთან თლილი (გრმანი) (8357), მისდევს რა არტაანის ოლქის წინანდელ საზღვარს, გამოდის სოფელ ბადელას ჩრდილო აღმოსავლეთით მდინარესთან ფოცხვა-ჩაი და მისდევს ამ მდინარეს სამხრეთისაკენ სოფელ ჩანჩახის პუნქტამდე, აქ სტოვებს ამ მდინარეს და მიდის რა წყალთა გამყოფზე, გამოდის მთაზე აირილიანბაში (8512), გასდევს მთებზე კელლე-თაფა (8463) — მთა ხარმან-თაფა (9709), მიაღწევს მთამდე კასრის სერი (9681) და მისდევს მდინარეს კარზამეთ-ჩაის ვიდრე მდინარე მტკვრამდე, აქედან მისდევს მდინარე მტკვრის ტალვეგს პუნქტამდე სოფ. კართანაკევის აღმოსავლეთით, სადაც შორდება მდ. მტკვარს, გასდევს რა მთა ყარა ოლლის (7259) წყალთა გამყოფ ხაზს, საიდანაც სჭრის ორ ნაწილად ტბა ხოზაფინს, გამოდის მწვერვალზე 7580 (7560), ხოლო აქედან მთაზე გეკ-დალი (9. 152) მიდის მთებზე უჩ-თაფალარი (9783), სადაც თავდება საზღვარი საქართველოსთან და იწყება საზღვარი სომხეთთან; მთა ტაიყალა (9.716) — მწვერვალი 9.065 — სადაც სტოვებს არტაანის ოლქის წინანდელ საზღვარს და

მიდის მთაზე დიდი ალბაბა (9963 ანუ 9973) — 8828 ანუ 8827 — 7602 და შემდეგ პირდაპირ ხაზით მწვერვალზე 7.518, გადის რა სოფელ იბიშის აღმოსავლეთით, და შემდეგ მთაზე ყიზილდაში (7.439 ანუ 7440 ანუ 7490) სოფელი ახალი ყიზილდაში — ხოლო აქედან მისდევს მდინარეს, რომელიც მიმდინარეობს ახალ ყიზილდაშზე, მის მოსაბრუნამდე, რომელიც არის ყარა მამედის ჩრდილო—დასავლეთით, შემდეგ მიდის წყალ-გამყოფზე და გამოდის მდ. ჯამუშბე-ჩაიზე (რომელიც მდებარეობს სოფ-ლების დელავერის დიდი ქმლის და თიხნისის აღმოსავლეთით); სოფლებზე ვირთანლი და ბაშშურაგელი, მისდევს აღნიშნულ მდინარეს და გამოდის მდინარე არფა-ჩაიზე სოფელ ქიალიალის, ანუ ქალალის ჩრდილოეთით, საიდანაც მისდევს მდინარე არფა-ჩაის ტალვეგს, გამოდის მდინარე არაქსზე, მისდევს არაქსის ტალვეგს ვიდრე სოფელ ურმიამდე, სადაც თავდება საზღვარი სომხეთთან და იწყება საზღვარი აზერბეიჯანთან, და შემდეგ ხელახლა მისდევს არაქსის ტალვეგს ვიდრე ქვემო ყარა-სუს შესართავამდე, სადაც თავდება საზღვარი უკანასკნელ სახელმწიფოსთან.

იგულისხმება, რომ საზღვარი გასდევს წყალთა-გამყოფ ხაზზე ნაჩვენებ მწვერვალებს.

ხელმოწერანი

დ ა ნ ა რ თ ი II.

მიღებულია რა მხედველობაში, რომ სასაზღვრო ხაზი, როგორც ეს ნაჩვენებია I დანართში, მისდევს მდინარეების არფა-ჩაის და არაქსის ტალვეგებს, ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა ღებულობს ვალდებულებას გადასწიოს ხაზი ბლოკჰაუზებისა 8 ვერსის მანძილზე ალექსანდროპოლ-ერევანის რკინის გზიდან ეხლანდელის მოხაზულებით არფა-ჩაის რაიონში, და 4 ვერსის მანძილზე ზემოალნიშნული რკინის გზის ხაზიდან არაქსის რაიონში, ხაზი, რომელიც შემოსაზღვრავს ზემოთხსენებულ რაიონებს, ნაჩვენებია — ქვემოდ არფა-ჩაის ზონისათვის § 1-ის პუნქტებში **A** და **B** და არაქსის ზონისათვის § 2-ში.

(სახელწოდება ჯამუშბუ-ჩაი არ არის ნაჩვენები რუქა-ზე 1899 წლის გამოცემისა).

§ 1. არფა-ჩაის ზონა.

A) სამხრეთ-აღმოსავლეთით ვართანლიდან, აღმოსავლეთით უზუნქილისადან, მთაზე იოზური (5.086) — 5082 — 5047 — აღმოსავლეთით კარმირ-ვანქუჩ-თაფადან (6578 ანუ 5578), აღმოსავლეთით არაზ-ოღლიდან, აღმოსავლეთით ანიდან, მიაღწევს არფა-ჩაის ენიქეის დასავლეთით.

B) შორდება არფა-ჩაის აღმოსავლეთით მწვერვალოდან 5019, მიდის პირდაპირ მწვერვალოზე 5481 — 4 1/2 ვერსტით აღმოსავლეთით ყიზილ-ყულადან, 2 ვერსტით აღმოსავლეთით ბოჯალიდან, შემდეგ მდინარე დიგორ-ჩაი მისდევს ამ მდინარის გასწვრივ ვიდრე სოფლამდე დუზქეჩუტი, მიდის პირდაპირ ყარაბახის ნანგრევების ჩრდილოეთით და გამოდის არფა-ჩაიზე.

§ 2. არაქსის ზონა.

პირდაპირი ხაზი ხარაბა ალიჯანსა და სოფ. სოლეიმანდიზას შუა. ზონებში, რომელიც ერთის მხრით განისაზღვრება ალექსანდროპოლ-ერევნის რკინისგზის ხაზით, და მეორე მხრით ხაზით, რომელიც მდებარეობს 8 და 4 ვერსტის მანძილზე ზემოთ ნაჩვენებ რკინისგზის ხაზიდან. ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა ღებულობს ვალდებულობას არ ააგოს არავითარი ფორტიფიკაციული სიმაგრეები (მანძილთა ეს ხაზები იმყოფება ზემონაჩვენებ ზონების გარეშე), და არ იყოლიოს მასში რეგულარული ჯარი, მაგრამ ამასთანავე იტოვებს უფლებას იყოლიოს ზემო აღნიშნულ ზონებში ჯარი, საჭირო წესიერების დასაცველად და უშიშროებისათვის, და ადმინისტრატიულ საჭიროებისათვის.

ხელმოწერანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ III.

ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲜᲐᲮᲘᲩᲔᲕᲐᲜᲘᲡᲐ.

სოფელი ურმია, შემდეგ პირდაპირი ხაზი სადგ. არაზ-დაიანზე (შედის სომხეთის ს.ს. რესპუბლიკის საზღვრებში), შემდეგ პირდაპირი ხაზი მთაზე დასავლეთი დაშბუნუნი (3142) და შემდეგ წყალთა-გამყოფით მთაზე აღმოსავლეთი დაშბუ-ნუნი (4103), გადასჭრის მდინარეს ჯაანამ-დარასი, სამხრეთით წარწერისა „**РОД**“ (სამხრეთი), მიდის წყალთა-გამყოფით მთა-ზე ბაგარსისი (6.607 ანუ 6587), შემდეგ ყოფილ ადმინისტრატი-ულ საზღვარზე ერევნის და შარურ-დარალაგეზის მაზრებისა, 6629-ზე გავლით მთამდე კემურულ-ლალი (6839 ანუ 6930) და შემდეგ მწვერვალზე 3080 — საიათ-ლალი (7868) სოფელი კურტ-კულალი (კიურტ-კულაგი) მთა გამესურ დალი (8160) — მწვერვალო 8022 — კუკი-დალი (10282) და აღმოსავლეთ ად-მინისტრატიული საზღვარი ყოფილი ნახიჩევანის მაზრის.

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐᲜᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის

კონსტიტუცია

სრულიად საქართველოს ცენტრალურ
აღმასრულებელ კომიტეტის გამოცემა

ტფილისი 1922 წელი

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია

მიღებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობის მე-7 სხდომაზე 1922 წლის მარტის 2-ს
ქ. თფილისი

(ამონაკრები)

თ ა ვ ი I

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის საერთო დებულება

1. ოქტომბრის დიდი რევოლუციის მცნებათა მიმდევარნი საქართველოს მუშები, მშრომელი გლეხკაცობა და წითელი არმია—საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, დამფუძნებელი კრებისა და ყველა ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების გაუქმების შემდგომ, თავისი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ამყარებენ პროლეტარიატის სუვერენიტეტსა და დიქტატურას, გადასცემენ რა ამასთანავე სრულ სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას თავიანთი დეპუტატების საბჭოებს როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ.

<u>შენიშვნა:</u> საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან: აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა; უკანასკნელი უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას-ამ რესპუბლიკათა შორის დადებულ, განსაკუთრებულ საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი II

5. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც არ იწყნარებს არავის სწორუფლებიან მფლობელობას თავის ტერიტორიაზე; სამაგიეროდ, არც თვითონ განავრცელებს თავის უფლებებს თავის საზღვრებს გარეშე.

თ ა ვ ი III

13. სოციალისტური სამშობლოს და სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა შეიარაღებული დაცვა ყველა მოქალაქის მოვალეობად ითვლება, და ამიტომაც დაწესებულია საყოველთაო სამხედრო ბეგარა.

თ ა ვ ი VIII

სახალხო კომისართა საბჭოს შესახებ

45. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სათავეში დგას სახალხო კომისართა საბჭო, 12 სახალხო კომისარიატის შემადგენლობით, განსაკუთრებულ პირის—აუცილებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრის—თავმჯდომარეობით. ეს კომისარიატებია:

ა) საგარეო საქმეთა; ბ) სამხედრო და საზღვაო საქმეთა; გ) შინაგან საქმეთა, რომელშიც შედიან ეროვნულ საქმეთა, ფოსტა-ტელეგრაფის მართველობა, ცენტრალური სტატისტიკური მართველობა და სახელმწიფო პოლიტიკური მართველობა; დ) იუსტიციისა; ე) შრომისა, რომელშიც შედის სოციალური უზრუნველყოფის მართველობა; ვ) სახალხო განათლებისა; ზ) ჯანმრთელობისა; ჰ) ფინანსთა; თ) მიწათმოქმედებისა; ი) სასურსათო; ია) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მიმოსვლის (გზათა) განყოფილებით; იბ) მუშათა და გლეხთა ინსპექციისა.

48. ყველა დეკრეტი და სახელმწიფო ღონისძიება რო-

მელთა გადადება შეუძლებელია, მათ შორის, ყველა კანონმდებ-
ლობის აქტი სამხედრო საქმეთა შესახებ, აგრეთვე ლონის-
ძიებანი გარეშე საქმეთა შესახებ, საქართველოს სოციალისტურ
საბჭოთა რესპუბლიკის ვალდებულებათა მაკისრებელნი, განიხი-
ლებიან და მტკიცდებიან სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

49. არავითარ ორგანოს, გარდა სრულიად საქართვე-
ლოს საბჭოთა ყრილობისა, სრულიად საქართველოს ცენტრალუ-
რი აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა და სა-
ხალხო კომისართა საბჭოსი, არაქვს უფლება გამოსცეს საერ-
თო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტები.

თავი XII

სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობის საგანთა შესახებ

62. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის და
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-
ტის გამგებლობას ექვემდებარება ყველა საერთო-სახელმწიფოებ-
რივი მნიშვნელობის საკითხი:

ბ) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის
ტერიტორიის საერთო ადმინისტრაციული დანაწილება;

ზ) საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის
შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის საფუძველთა დაწესება;

63. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის გან-
საკუთრებულ გამგებლობას ექვემდებარება:

ა) საბჭოთა კონსტიტუციის ძირითად საფუძველთა და-
წესება, დამატება და შეცვლა.

ბ) საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის
საზღვრების დაწესება და შეცვლა და აგრეთვე მისი ტერიტორი-
ის ნაწილების, ან მისთვის მინიჭებულ უფლებათა ჩამორთმევა.

გ) უცხოეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობის დაჭე-
რა, ომის გამოცხადება, ზავის შეკვრა და საზავო ხელშეკრულე-
ბათა რატიფიკაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი XIII

ბ) საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაცია ადგილობრივ საბჭოთა ადგილობრივ ყრილობათა შესახებ

69. თავის კომპეტენციის ფარგლებში საბჭოთა ყრილობა უზენაესი ხელისუფლებაა არსებული ტერიტორიის საზღვრებში, ყრილობიდან ყრილობამდე პერიოდში კი—ამგვარ ხელისუფლებად ითვლება აღმასრულებელი კომიტეტი.

КОНСТИТУЦИЯ
(ОСНОВНОЙ ЗАКОН)

Закавказской Социалистической Федеративной Советской Республики

Принять первым Закавказским С'ездом Советов Рабочих, Крестьянских, Красноармейских и Матросских депутатов 13 декабря 1922 года и распубликована первой сессией Закавказского центрального Исполнительн. Комитета 16 янв. 1923 г.

Издание Зак. Цен. Исп. Ком.Совет.

ТИФЛИС

<u>შენიშვნა:</u> ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკების (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) რესპუბლიკების ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი და სახელმწიფო საზღვრებზე სამართლებრივი მდგომარეობა არ დაფიქსირებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი მოწვევის მეორე სესიისა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია) დამტკიცდეს და დაუყოვნებლივ შემოღებული იქნეს სამოქმედოდ.

2. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ტექსტი, მიღებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ამა სესიის მიერ, წარედგინოს საბოლოო დასამტკიცებლად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების მეორე ყრილობას.

3. ვიდრე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის მე-4 და მე-5 თავის საფუძველზე შესდგებოდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, ყველა რწმუნებულება, რაც კონსტიტუციით მინიჭებული აქვს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, დაეკისროს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, რომელიც არჩეულ იქნა 19 წევრისაგან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველ სესიაზე 1922 წლის დეკემბრის 30-ს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე მ. კალინინი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი ა. ენუქიძე.

მოსკოვი-კრემლი.
1923 წლის ივლისის 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქარ. კომუნისტური პარტია (ბ.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა

სოციალისტურ საბჭოთა

რესპუბლიკების კავშირისა

ცენტ. კომიტ. გამომცემლობა № 80

თფილისი - 1924

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია)

(ამონაკრები)

მიღებულია 1924 წლის 31 იანვარს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, აღფრთოვანებით აცხადებს საბჭოთა ხელისუფლების საფუძველთა შეურყევლობას და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების 1-ლი ყრილობის დადგენილების აღსასრულებად. აგრეთვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების 1-ლი ყრილობის მიერ ქ.მოსკოვში 1922 წლის დეკემბრის 30-ს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ მიღებული ხელშეკრულების საფუძველზე, იღებს რა ამასთანავე მხედველობაში მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ წარმოდგენილ ყველა შესწორებასა და ცვლილებას, — ადგენს:

დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების თაობაზე და ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია).

კარი მეორე

ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ

რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა, უკრაინის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, ბელორუსიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა (აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა) შეერთდებიან

ერთ საკავშირო სახელმწიფოდ—საბჭოთა სოციალისტური რეს-
პუბლიკების კავშირად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი პირველი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა გამგებლობის საგნები.

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, —გამგებლობას ექვემდებარება:

ა) კავშირის წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთ დამოკიდებულებაში, ყოველნაირი დიპლომატიური ურთიერთობის დაჭერა, პოლიტიკური და სხვა ხელშეკრულების დადება უცხო სახელმწიფოებთან:

ბ) კავშირის საგარეო საზღვრების შეცვლა და აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა შორის საზღვრების შეცვლის საკითხების მოწესრიგება;

გ) ხელშეკრულების დადება კავშირის შემადგენლობაში ახალი რესპუბლიკების მიღების შესახებ;

დ) ომის გამოცხადება და ზავის შეკვრა;

ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია;

თ) კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის საფუძველთა და საერთო გეგმის დაწესება, განსაზღვრა მრეწველობის დარგებისა და ცალკე სამრეწველო საწარმოთა, რომელთაც აქვთ საერთო-საკავშირო მნიშვნელობა, საკონცესიო ხელშეკრულებათა დადება, როგორც საერთო-საკავშირო ხელშეკრულებათა, ისე მოკავშირე რესპუბლიკების სახელით;

კ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა;

ნ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთელს ტერიტორიაზე მიწათმოწყობისა და მიწათ-სარგებლობისა და აგრეთვე მიწის წიალისა, ტყისა და წყლის სარგებლობის ზოგად საფუძველთა დამყარება;

ყ) საბჭოთა ყრილობებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების იმ დადგენილებათა გაუქმება, რომელიც დაარღვევს ამა კონსტიტუციას;

ც) მოკავშირე რესპუბლიკათა შორის აღძრული სადავო საკითხების გადაწყვეტა.

თავი მეორე

მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენული უფლება და საკავშირო მოქალაქეობა

3. მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენიტეტი შეზღუდულია მხოლოდ ამა კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფარგლებში და მარტოოდენ იმ საგანთა სფეროში, რაც მიეკუთვნება კავშირის კომპეტენციას. აღნიშნული ფარგლების გარეშე თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა დამოუკიდებლად განახორციელებს თავის სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას; საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი დაიცავს მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენულ უფლებას.

4. თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა შეინარჩუნებს უფლებას თავისუფლად გამოვიდეს კავშირიდან.

5. მოკავშირე რესპუბლიკები, ამა კონსტიტუციის მიხედვით, შეიტანენ ცვლილებას თავიანთ კონსტიტუციაში.

6. მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორია არ შეიძლება შეცვლილ იქნეს მისი თანხმობის გარეშე; აგრეთვე მე-4 მუხლის შეცვლისა, შეზღუდვისა ან გაუქმებისათვის საჭიროა თანხმობა ყველა რესპუბლიკისა, რომელიც შედის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

თავი მეოთხე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

13. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი შესდგება საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან.

14. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობა აირჩევს საკავშირო საბჭოს მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელთაგან, პროპორციულად თვითეული მათგანის მოსახლეობისა,—სულ 414 წევრის შემადგენლობით.

15. ეროვნებათა საბჭო შესდგება მოკავშირე და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების წარმომადგენელთაგან, — იმ ვარაუდით, რომ თვითეულ რესპუბლიკაზე მოდიოდეს 5 წარმომადგენელი, — და რუსეთის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ავტონომიური ოლქების წარმომადგენელთაგან იმ ვარაუდით, რომ თვითეულ ოლქზე მოდიოდეს ერთი წარმომადგენელი. ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობას მთლიანად დაამტკიცებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობა.

<u>შენიშვნა.</u> აჭარისტანისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი გაგზავნიან ეროვნებათა საბჭოში თითო წარმომადგენელს.

19. ყველა დეკრეტი, დადგენილება და განკარგულება, რასაც გამოსცემს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი სავალდებულოა აღსასრულებლად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

20. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს შეაჩეროს ან გააუქმოს ყველა დეკრეტი დადგენილება და განკარგულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობებისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და ხელისუფლების სხვა ორგანოებისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

ა-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ტექსტის გამოქვეყნების შესახებ

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

გამოქვეყნებულ იქნეს ტექსტი ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონისა (კონსტიტუციისა), რომელიც მიღებულია ამიერკავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების 1-ლი ყრილობის მიერ 1922 წლის დეკემბრის 13-ს, იმ ცვლილებებით, რაც ამ კანონში შეიტანა ამიერკავკასიის II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიამ 1924 წლის სექტემბრის 4-ს და რაც დამტკიცებულ იქნა 1925 წლის აპრილის 14-ს ამიერკავკასიის საბჭოთა მე-3 ყრილობის მიერ და, ამ უკანასკნელის მინდობილობით, შევსებულია ამიერკავკასიის III მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1926 წლის იანვრის 29-ს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე ს. ხანოიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი ა. შავერდოვი

1926 წ. თებერვლის 15
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ძ ი რ ი თ ა დ ი კ ა ნ ო ნ ი

(კონსტიტუცია)

ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული
საბჭოთა რესპუბლიკისა.

ა/კ. ცენ. აღმ. კომ. გამოცემა.

ტ ფ ი ლ ი ს ი

1926

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადი კანონი
კონსტიტუცია

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია)

(ამონაკრები)

კარი მეორე

ხელშეკრულება ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

აზერბაიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა გაერთიანდებიან ერთ ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკად (ა-კსფსრ)

თავი მეორე

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სუვერენული უფლებანი და საკავშირო მოქალაქეობა.

3. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სუვერენიტეტი შეზღუდულია მხოლოდ საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციით და ამა კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფარგლებში, და მარტოოდენ იმ საგანთა სფეროში, რაც საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირისა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კომპეტენციას მიეკუთვნება.

ამ ფარგლების გარეშე, ა.კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი თითოეული რესპუბლიკა დამოუკიდებლად განახორციელებს თავის სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას.

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა დაიცავს მის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა სუვერენულ უფლებათ.

5. ა.კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეცვლილი იქნეს მისი თანხმობის გარეშე.

19. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოცემული ყველა დეკრეტი, დადგენილება და განკარგულება სავალდებულოა შესასრულებლად მთლად ა/კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

20. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა და ა/კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ყველა დეკრეტი, დადგენილება და განკარგულება გამოქვეყნდება სომხურ, ქართულ, რუსულ და თურქულ ენაზე.

60. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ყველა ცენტრალური სახელმწიფო დაწესებულების რეზიდენციად არის ქალაქი ტფილისი.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-3 ყრილობის თავმჯდომარე მ. ცხაკაია
ამიერკავკასიის საბჭოთა მე-3 ყრილობის მდივანი ა. შავერდოვი

1925 წლის აპრილის 14, ქ. ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-3 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიისა

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მეხუთე მუხლისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მეოთხე მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექსტი საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონისა (კონსტიტუციისა), მიღებული ცვლილებითა და დამატებით, დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებული იქნეს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ამა სესიის მიერ მიღებული საქართველოს ს.ს.რ. ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ტექსტი საბოლოო დამტკიცებისათვის წარედგინოს სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობას.

აფხაზეთის ს.ს.რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გადაამუშავებს აფხაზეთის ს.ს.რ. კონსტიტუციას იმ პრინციპების მიხედვით, რაც საფუძვლად დაედვა საქართველოს ს.ს.რ. კონსტიტუციას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია

1926 წ. ივლისის 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების მე-IV ყრილობისა

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ტექსტის საბოლოოდ დამტკიცების შესახებ

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატობის საბჭოების მე-IV ყრილობა ადგენს:

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-5 მუხლისა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-4 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-III მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის მიერ 1926 წ. ივლისის 5 თარიღისა და 48 №-ის დადგენილებით მიღებული საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ტექსტი დამტკიცებული იქნეს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-IV ყრილობის
თავმჯდომარე ფ. მახარაძე

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-IV ყრილობის
მდივანი ს. თოდრია

1927 წ. აპრილის 4.
ტფილისი.

[სსსრ კან. კრ. 1927 წ. №4, მუხ. 60]

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის

კონსტიტუცია

(ძირითადი კანონი)

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

ტ ფ ი ლ ი ს ი
1927

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია

(ამონაკრები)

(1927 წელი)

თავი პირველი

ზოგადი დებულებები

2. საქართველოს რესპუბლიკა არის მუშებისა და მშრომელი გლეხობის სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც შენდება ეროვნულ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის საფუძველზე. საქართველოს საზღვრებში მთელი ხელისუფლება მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოებს ეკუთვნის.

4. კაპიტალისტური გარემოცულობის პირისპირ საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი ფრონტის შესაქმნელად, საბჭოთა რესპუბლიკების დასაცავად გარეშე საფრთხისაგან, მათი სამეურნეო და ეკონომიური წარმატებისათვის, ხალხთა ეროვნული განვითარების თავისუფლებისა და საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 ყრილობის დადგენილებისა, ნებაყოფლობით გაერთიანებულია ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე აზერბაიჯანისა და სომხეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებთან; იგი მათთან ჰქმნის ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას, რომლის მეშვეობითაც შედის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

5. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სუვერენიტეტი შეზღუდულია მხოლოდ ხელშეკრულებების ძალით იმ ფარგლებში, რაც აღნიშნულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითად კანონსა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციაში, და მარტოოდენ იმ საკითხებში, რაც შეადგენს კომპეტენციას ამ სახელმწიფოებრივ განაერთთა, რომელ-

ნიც, თავის მხრივ, ვალდებულნი არიან დაიცვან საქართველოს სუვერენული უფლებანი.

6. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა იტოვებს უფლებას გამოვიდეს ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკიდან და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

7. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეცვლილ იქნეს გარეშე მისი თანხმობისა.

9. (მეორე აბზაცი) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკა აღიარებს აგრეთვე მის ტერიტორიაზე მოსახლე სხვადასხვა ხალხის უფლებას, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესი ორგანოს ნებართვით, გამოიყოს ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკად ან ავტონომიურ ოლქად.

(მესამე აბზაცი) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში, ზემოაღნიშნულ საფუძველზე შედიან: აფხაზეთის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, აჭარისტანის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკა შედის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში მათ შორის დადებული განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით.

15. დიადი მუშურ-გლეხური რევოლუციის მონაპოვართა დაცვისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკას, რესპუბლიკის ყველა მოქალაქის მოვალეობად მიაჩნია სოციალისტური სამშობლოს დაცვა, რისთვისაც აწესებს საყოველთაო სამხედრო ბეგარას. საპატიო უფლება—სოციალისტური სამშობლოსი და რევოლუციის იარაღით დაცვა—მინიჭებული აქვს მხოლოდ მშრომელთ, არამშრომელთ კი ეკისრებათ სხვა სამხედრო მოვალეობის შესრულება.

18. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორია-

ზე მთლად მიწა, ტყე, წყალი, მიწის წიაღი, აგრეთვე ფაბრიკები და ქარხნები, რკინის გზის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტი და კავშირის დასაჭერი საშუალებანი შეადგენენ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ქონებას. ამ ქონებით სარგებლობისა და მისი ექსპლუატაციის წესი განისაზღვრება საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის, ა/კ სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კანონმდებლობით იმ კომპეტენციის ფარგლებში, რაც განსაზღვრულია თითოეული მათგანის კონსტიტუციით.

თავი მეორე

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაეს ორგანოთა გამგებლობის საგნები

19. მარტოოდენ სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის გამგებლობას ეკუთვნის:

ბ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საზღვრების შეცვლის საკითხების გადაწყვეტა იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საბჭ. სოც. რესპუბლიკის კავშირის ძირითადი კანონით;

20. (მე-2 აბზაცი) სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობას ეკუთვნის;

ა) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთელი საშინაო პოლიტიკის და სახალხო მეურნეობის საერთო ხელმძღვანელობა; ბ) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიის საერთო საადმინისტრაციო დაყოფა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საზღვრების დაწესება;

გ) ავტონომიურ რესპუბლიკათა კონსტიტუციების და ავტონომიური ოლქების დებულებათა, მათ ცვლილებათა და დამატებათა დამტკიცება და აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებს შორის, აგრეთვე ამათსა და საქართველოს

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სხვა ორგანოთა შორის დავა-ცილობის გადაწყვეტა;

22. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის უზენაეს ორგანოთა დადგენილებებს იმ ფარგლებში, რაც განსაზღვრულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონით და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციით, და იმ საკითხების შესახებ, რაც ამ სახელმწიფოებრივ განაერთთა კომპეტენციას ეკუთვნის, სავალდებულო ძალა აქვთ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე. არავითარ სხვა ორგანოს, ამ გამონაკლისს გარეშე, გარდა სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, ხოლო სათანადო შემთხვევაში მისი პრეზიდიუმის ან სახალხო კომისართა საბჭოსი, უფლება არა აქვს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზედ გამოსცეს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტები.

თავი მეოთხე

ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკები და ოლქები

81. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაეს ორგანოთა მიერ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე გასავრცელებლად გამოცემულ კოდექსებს, დეკრეტებს და დადგენილებებს სავალდებულო ძალა აქვთ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ტერიტორიაზე.

82. ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ სახელმწიფობრივი მმართველობის იმ დარგში, რასაც

ავტონომიურად განაგებენ, და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის იმ კანონმდებლობის განსავითარებლად, რაც საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, გამოსცენ საკანონმდებლო აქტები, რომელთაც სავალდებულო ძალა აქვთ ამ რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

<u>შენიშვნა:</u> ავტონომიური ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ გამოსცენ დადგენილებანი ამ მუხლით აღნიშნულ ფარგლებში, რომელთაც ავტონომიური ოლქების ტერიტორიაზე სავალდებულო ძალა აქვთ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმის მიერ დამტკიცების შემდეგ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების საგანგებო VIII ყრილობისა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების საგანგებო VIII ყრილობა ა დ გ ე ნ ს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი, ყრილობის სარედაქციო კომისიის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, დ ა მ ტ კ ი ც დ ე ს.

ყრილობის პრეზიდიუმი

მოსკოვი, კრემლი,
1936 წ. 5 დეკემბერი

მ უ ხ ლ ი 16. „თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკის თავისებურებებს და აგებულია ისე, რომ სავსებით შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას“ (სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციიდან).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკების კავშირის
კონსტიტუცია
(ძირითადი კანონი)

სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი
საბჭოს I, III, IV და V სესიების მიერ
მიღებული ცვლილებებითა და დამატებებით

გამომცემლობა „კომუნისტი“
თბილისი – 1950

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კონსტიტუცია

(ძირითადი კანონი)

(ამონაკრები)

თავი I

საზოგადოებრივი წყობილება

მუხლი 6. მიწა, მისი წიალი, წყალი, ტყეები, ქარხნები, ფაბრიკები, მაღარაოები, სამადნეები, რკინიგზის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტი, ბანკები, კავშირგაბმულობის საშუალებანი, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები (საბჭოთა მეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და სხვ.), აგრეთვე კომუნალური საწარმოები და ძირითადი საბინაო ფონდი ქალაქებსა და სამრეწველო პუნქტებში შეადგენენ სახელმწიფო საკუთრებას, ესე იგი საყოველთაო-სახალხო კუთვნილებას.

თავი II

სახელმწიფოებრივი წყობილება

მუხლი 14. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გამგებლობას, მის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სახით, ექვემდებარება:

ა) სსრ კავშირის წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთობაში, სხვა სახელმწიფოებთან სსრ კავშირის ხელშეკრულებათა დადება, რატიფიკაცია და დენონსაცია, უცხო სახელმწიფოებთან მოკავშირე რესპუბლიკათა ურთიერთობაში საერთო წესის დადგენა;

გ) სსრ კავშირის შემადგენლობაში ახალ რესპუბლიკათა მიღება;

დ) კონტროლი სსრ კავშირის კონსტიტუციის დაცვისადმი და იმის უზრუნველყოფა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები შეესაბამებოდეს სსრ კავშირის კონსტიტუციას;

ე) მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების ცვლილებათა დამტკიცება;

ვ) მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში ახალი მხარეებისა და ოლქების, აგრეთვე ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნის დამტკიცება;

ზ) სსრ კავშირის თავდაცვის ორგანიზაცია, სსრ კავშირის მთელი შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა, მოკავშირე რესპუბლიკების საჯარისო ფორმირებათა ორგანიზაციის სახელმძღვანელო საფუძვლების დადგენა;

ი) სახელმწიფო უშიშროების დაცვა;

რ) მიწათსარგებლობის, აგრეთვე მიწის წიალით, ტყეებითა და წყლებით სარგებლობის ძირითადი საფუძვლების დადგენა;

მუხლი 15. მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი შეზღუდულია მხოლოდ სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღნიშნულ ფარგლებში. ამ ფარგლებს გარეშე თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა სახელმწიფო ძალაუფლებას დამოუკიდებლად ახორციელებს. სსრ კავშირი იცავს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს.

მუხლი 16. თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკის თავისებურებებს და აგებულია, ისე რომ სავსებით შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას.

მუხლი 17. თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა ინარჩუნებს სსრ კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლებას.

მუხლი 18. მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მათი თანხმობის გარეშე.

მუხლი 18-ა. თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს უშუალო ურთიერთობა დაამყაროს უცხო სახელმწიფოებთან, დადოს მათთან შეთანხმებანი და გაცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 18-ბ. თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი რესპუბლიკური საჯარისო ფორმირებანი.

მუხლი 19. სსრ კავშირის კანონებს ერთნაირი ძალა აქვთ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მუხლი 20. იმ შემთხვევაში, როცა მოკავშირე რესპუბლიკის კანონი არ ეთანხმება საერთო-საკავშირო კანონს მოქმედებს საერთო-საკავშირო კანონი.

მუხლი 25. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაში შედიან: აფხაზეთის ასს რესპუბლიკა, აჭარის ასს რესპუბლიკა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი.

თავი IV

მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები

მუხლი 57. მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არის მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

მუხლი 59. მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის რესპუბლიკის ერთადერთი საკანონმდებლო ორგანო.

მუხლი 60. მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო:

ა) მიიღებს რესპუბლიკის კონსტიტუციას და შეაქვს მასში ცვლილებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-16 მუხლის შესაბამისად;

ბ) ამტკიცებს თავის შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებს და განსაზღვრავს მათი ტერიტორიის საზღვრებს;

ე) აწესებს მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლობას საერთაშორისო ურთიერთობაში;

ვ) ადგენს რესპუბლიკურ საჯარისო ფორმირებათა შექმნის წესს.

მუხლი 132. საყოველთაო სამხედრო ვალდებულება კანონია.

სამხედრო სამსახური სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში წარმოადგენს სსრ კავშირის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას.

მუხლი 133. სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა. სამშობლოს ღალატი: ფიცის გატეხა, მტრის მხარეზე გადასვლა, სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებისათვის ზიანის მიყენება, ჯაშუშობა-ისჯება კანონის მთელი სიმკაცრით, როგორც ყველაზე მძიმე ბოროტმოქმედება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება სრულიად-საქართველოს საბჭოების საგანგებო VIII ყრილობისა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) დამტკიცების შესახებ

სრულიად-საქართველოს საბჭოების საგანგებო VIII ყრილობა

ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცებულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი ყრილობის სარედაქციო კომისიის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

ყრილობის პრეზიდიუმი.

თბილისი,
13 თებერვალი, 1937 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია

(ძირითადი კანონი)

მეორე გამოცემა

სახ. კ. პ. (ბ) ც. კ. პარტგამომცემლობა 1938

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად-საქართველოს საბჭოების საგანგებო

VIII ყრილობა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია

(ძირითადი კანონი) 1937 წელი თბილისი

(ამონაკრები)

თავი I

საზოგადოებრივი წყობილება

მუხლი 6. მიწა, მისი წიალი, წყალი, ტყე, ქარხნები, ფაბრიკები, მაღაროები, სამადნოები, რკინიგზის, წყლის და საჰაერო ტრანსპორტი, ბანკები, კავშირგაბმულოების საშუალებანი, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმონი (საბჭოთა მეურნეობანი, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და სხვ.), აგრეთვე კომუნალური საწარმოები და ძირითადი საბინაო ფონდი ქალაქებსა და სამრეწველო პუნქტებში შეადგენენ სახელმწიფო საკუთრებას, ესე იგი საყოველთაო-სახალხო კუთვნილებას.

თავი II

სახელმწიფოებრივი წყობილება

მუხლი 13. ეკონომიური და პოლიტიკური ხაზით, ისე როგორც თავდაცვის ხაზით ურთიერთდახმარების განხორციელების მიზნისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ნებაყოფლობით გაერთიანდა თანასწორუფლებიან

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან: რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, ყირგზეთის სსრ-თან საკავშირო სახელმწოფოში— საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. ამისდა მიხედვით, საქართველოს სსრ უზრუნველჰყოფს სსრ კავშირისათვის მისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით, სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლით განსაზღვრულ უფლებებს.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფარგლებს გარეშე, საქართველოს სსრ ახორციელებს სახელმწიფო ძალაუფლებას დამოუკიდებლად და ინარჩუნებს სრულიად თავის სუვერენულ უფლებებს.

მუხლი 14. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თავისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით:

გ) აწესებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური სსრ-ებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრებს;

მუხლი 15. საქართველოს სსრ ინარჩუნებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფლად გამოსვლის უფლებას.

მუხლი 16. საქართველოს სსრ-ის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე.

მუხლი 19. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან; აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ალბულალის[1], ახალქალაქის, ახალციხის, ბალდადის[2], ბაშკიჩეთის[3], ბოგდანოვკის, ბორჩალოს[4], ბორჯომის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ვანის, ზემო-სვანეთის[5], ზუგდიდის, თბილისის, თელავის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლუქსემბურგის[6], მახარაძის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, სილნალის,

ტყიბულის, ქვემო-სვანეთის[7], ქუთაისის, ყაზბეგის, ყარაიის[8], ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხარის[9], ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალკის, წულუკიძის, ჭიათურის, ხაშურის, ხობის, ჯუღელის[10]—რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისისაგან და ფოთისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან.

მუხლი 20. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება გაგრის, გალის, გუდაუთის, სუხუმის, ოჩამჩირის რაიონებისაგან და ქალაქ სუხუმისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედის.

მუხლი 21. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება ბათუმის, ქედის, ქობულეთის, ხულოს რაიონებისაგან და ქალაქ ბათუმისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედის.

მუხლი 22. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი შესდგება ზნაურის, ლენინგორის, სტალინირის, ჯავის რაიონებისაგან და ქალაქ სტალინირისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედის.

მუხლი 23. საქართველოს სსრ-ის კანონებს ერთნაირი ძალა აქვთ საქართველოს სსრ-ის მთელ ტერიტორიაზე. თუ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კანონი საქართველოს სსრ-ის კანონს არ ეთანხმება, მოქმედებს საქართველოს სსრ-ის კანონი.

მუხლი 24. აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ სსრ-ებს აქვთ თავიანთი კონსტიტუციები, რომლებიც ითვალისწინებენ ამ რესპუბლიკათა თავისებურებას და აგებული არიან საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის სრულ შესაბამისად. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს აქვს ავტონომიური ოლქის დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო.

---

1. თეთრი წყარო, 2. მაიაკოვსკი, 3. დმანისი, 4. მარნეული, 5. მესტია, 6. ბოლნისი, 7. ლენტეხი, 8. გარდაბანი, 9. თერჯოლა, 10. ზესტაფონი.

თავი III
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები

მუხლი 25. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არის საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო.

მუხლი 27. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო არის საქართველოს სსრ-ის ერთადერთი კანონმდებელი ორგანო.

თავი XI

მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი

მუხლი 145. საყოველთაო სამხედრო ვალდებულება არის კანონი. სამხედრო სამსახური მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში წარმოადგენს საქართველოს სსრ-ის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას.

მუხლი 146. სამშობლოს დაცვა არის საქართველოს სსრ-ის თვითეული მოქალაქის უწმინდესი მოვალეობა. სამშობლოს ღალატი: ფიცის გატეხა, მტრის მხარეზე გადასვლა, სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებისათვის ზიანის მიყენება, ჯაშუშობა—ისჯება კანონის მთელი სისასტიკით, როგორც ყველაზე მძიმე ბოროტმოქმედება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კონსტიტუცია

(ძირითადი კანონი)

მიღებულია სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის
უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე
1977 წლის 7 ოქტომბერს

სსრ კავშირის 1981 წლის 24 ივნისისა და
1988 წლის 1 დეკემბრის კანონებით შეტანილი
ცვლილებებითა და დამატებებით

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი–1989

1. სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესწყობილების და პოლიტიკის საფუძვლები

(ამონაკრები)

თავი 2. ეკონომიკური სისტემა

მუხლი 11. სახელმწიფო საკუთრება მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილება, სოციალისტური საკუთრების ძირითადი ფორმაა.

მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს: მიწა, მისი წიალი, წყალი, ტყე. სახელმწიფოს ეკუთვნის წარმოების ძირითადი საშუალებანი მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, ბანკები, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული სავაჭრო, კომუნალური და სხვა საწარმოების ქონება, ძირითადი საქალაქო საბინაო ფონდი, აგრეთვე სახელმწიფოს ამოცანათა განხორციელებისათვის საჭირო სხვა ქონება.

თავი 4. საგარეო პოლიტიკა

მუხლი 29. სხვა სახელმწიფოებთან სსრ კავშირის ურთიერთობა დამყარებულია ისეთი პრინციპების დაცვის საფუძველზე, როგორიც არის: სუვერენული თანასწორობა; ძალის გამოყენებასა ან ძალით დამუქრებაზე ორმხრივი უარის თქმა; საზღვრების ურღვევობა; სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა; დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა; საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა; ხალხთა თანასწორუფლებიანობა და თავიანთი ბედის გამგებლობის უფლება; სახელმწოფოთა თანამშრომლობა; საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან, სსრ კავშირის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

თავი 5. სოციალისტური სამშობლოს დაცვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 31. სოციალისტური სამშობლოს დაცვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს განეკუთვნება და მთელი ხალხის საქმეა.

სოციალისტურ მონაპოვართა, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის, სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით შექმნილია სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები და დაწესებულია საყოველთაო-სამხედრო ვალდებულება.

მუხლი 32. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის უშიშროებასა და თავდაცვისუნარიანობას, აღჭურავს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს ყველა საჭირო საშუალებით.

III. სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფო წყობილება

თავი 8. სსრ კავშირი საკავშირო სახელმწოფოა

მუხლი 72. ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას დატოვებული აქვს სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება.

მუხლი 73. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით განეკუთვნება:

2) სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების დადგენა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების შეცვლის დამტკიცება;

თავი 9. მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

მუხლი 76. მოკავშირე რესპუბლიკა არის სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან გაერთიანდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირად.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლში აღნიშნულ ფარგლებს გარეთ მოკავშირე რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე.

მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას და ითვალისწინებს რესპუბლიკის თავისებურებებს.

მუხლი 78. მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს შესაბამისი რესპუბლიკების ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა დაამტკიცოს სსრ კავშირმა.

მუხლი 79. მოკავშირე რესპუბლიკა განსაზღვრავს თავის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონულ დაყოფას და წყვეტს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სხვა საკითხებს.

მუხლი 80. მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის სახელმწიფოებთან, დაუდოს მათ ხელშეკრულებანი და გაუცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები, მონაწილეობდეს საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში.

მუხლი 81. მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენულ უფლებებს იცავს სსრ კავშირი.

თავი 10. ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

მუხლი 84. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე.

მუხლი 85. (მესამე აბზაცი)

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაშია აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი 11. ავტონომიური ოლქი და ავტონომიური ოკრუგი

მუხლი 86. ავტონომიური ოლქი მოკავშირე რესპუბ-ლიკის ან მხარის შემადგენლობაშია. ავტონომიური ოლქის შესახებ კანონს იღებს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წარდგინებით.

მუხლი 87. (მეორე აბზაცი.)

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაშია სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი.

თავი 17. მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები

მუხლი 137.

მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბ-ჭო.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო უფლებამოსი-ლია გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რომლებიც მოკავშირე რეს-პუბლიკის გამგებლობაშია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად.

მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებას, კონ-სტიტუციაში ცვლილებების შეტანას; მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, სახელმწიფო ბიუჯეტისა და მათი შესრულების ან-გარიშების დამტკიცებას; მის წინაშე ანგარიშვალდებული ორ-განოების შექმნას ახორციელებს მხოლოდ და მხოლოდ მოკავ-შირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

მოკავშირე რესპუბლიკის კანონები მიიღება მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ ან სახალხო კენჭის ყრით (რეფერენდუმით) რომელიც მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ეწყობა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მიღებისა და გამოცხადების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელიც საქართველოს სსრ ხალხის სახელით მოქმედებს და მის სუვერენულ ნებას გამოხატავს, იღებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციას (ძირითად კანონს) და აცხადებს, რომ იგი ძალაში შედის 1978 წლის 15 აპრილიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე — პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი — თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1978 წლის 15 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა

(ძირითადი კანონი)

მიღებულია საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის
უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის მიერ
1978 წლის 15 აპრილს

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თ ბ ი ლ ი ს ი - 1982

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია

ძირითადი კანონი

(ამონაკრები)

თბილისი 1978 წელი

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლები

თავი II

ეკონომიკური სისტემა

მუხლი 11. სახელმწიფო საკუთრება მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილება, სოციალისტური საკუთრების ძირითადი ფორმაა.

მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს: მიწა, მისი წიალი, წყალი, ტყე. სახლმწიფოს ეკუთვნის წარმოების ძირითადი საშუალებანი მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, ბანკები, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული სავაჭრო, კომუნალური და სხვა საწარმოების ქონება, ძირითადი საქალაქო საბინაო ფონდი, აგრეთვე სახელმწიფოს ამოცანათა განხორციელებისათვის საჭირო სხვა ქონება.

თავი IV

საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა და სოციალისტური სამშობლოს დაცვა

მუხლი 28. საქართველოს სს რესპუბლიკა საგარეო-პოლიტიკურ საქაიანობაში ხელმძღვანელობს საგარეო პოლიტიკის

მიზნებით, ამოცანებითა და პრინციპებით, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციით.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ომის პროპაგანდა აკრძალულია.

მუხლი 29. სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სოციალისტური სამშობლოს დაცვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს განეკუთვნება და მთელი ხალხის საქმეა.

სოციალისტურ მონაპოვართა, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის, სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით შექმნილია სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები და დაწესებულია საყოველთაო-სამხედრო ვალდებულება.

ხალხის წინაშე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მოვალეობაა საიმედოდ იცავდნენ სოციალისტურ სამშობლოს, მუდამ მზად იყვნენ ბრძოლისათვის, რათა დაუყოვნებლივ უკუაგდონ ყოველი აგრესორი.

მუხლი 30. საქართველოს სსრ მონაწილეობს ქვეყნის უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფაში, ყველა საჭირო საშუალებით სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების აღჭურვაში.

სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მოვალეობებს ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფისა და მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

საქართველოს სსრ ეროვნულ-სახელმწიფო და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობა

თავი VII

საქართველოს სსრ მოკავშირე რესპუბლიკაა სსრ კავშირის შემადგენლობაში

მუხლი 68. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სა-

ხელმწიფო. კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობის, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცების უშიშროებისა და თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ერების თავისუფალი თვითგამორკვევის შედეგად, ნებაყოფლობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან: რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასთან, უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, ლიტვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან გაერთიანდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად—ერთიან საკავშირო მრავალეროვან სახელმწიფოდ.

ამის საფუძველზე საქართველოს სს რესპუბლიკა უზრველყოფს სსრ კავშირისათვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით უფლებებს, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლში აღნიშნულ ფარგლებს გარეთ საქართველოს სსრ დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე.

მუხლი 69. საქართველოს სს რესპუბლიკა ინარჩუნებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას.

მუხლი 70. საქართველოს სსრ ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე. საქართველოს სს რესპუბლიკასა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის

საზღვრები შეიძლება შეიცვალოს შესაბამისი რესპუბლიკების ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა დაამტკიცოს სსრ კავშირმა.

მუხლი 71. საქართველოს სს რესპუბლიკაშია: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი. საქართველოს სს რესპუბლიკაში არის: აბაშის ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დმანისის დუშეთის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრი წყაროს, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მარნეულის, მახარაძის, მესტიის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ქარელის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალკის, წითელი წყაროს, წულუკიძის, ხაშურის, ხობის რაიონები და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები: თბილისი, გორი, ზუგდიდი, რუსთავი, ტყიბული, ფოთი, ქუთაისი, წყალტუბო და ჭიათურა.

კონსტიტუცია მიღებულია საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის მიერ 1978 წლის 15 აპრილს.

მუხლი 73. საქართველოს სს რესპუბლიკა განსაზღვრავს თავის რაიონულ დაყოფას და წყვეტს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობილების სხვა საკითხებს.

მუხლი 75. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

მუხლი 76. საქართველოს სსრ რესპუბლიკას აქვს უფლება ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის სახელმწიფოებთან, დაუდოს მათ ხელშეკრულებანი და გაუცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები, მონაწილეობდეს საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე–19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან

ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად. საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებილი ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნებისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.

თბილისი, მთავრობის სასახლე,
1991 წლის 9 აპრილი, 12 საათი და 30 წუთი.

საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკა და თურქეთის რესპუბლიკა, შემდგომში „მხარეებად“ წოდებულნი,

პატივს მიაგებენ რა ორივე ქვეყნის სუვერენულ სტატუსს და ეყრდნობიან დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს და გამოხატავენ რა თანამშრომლობის გაღრმავების სურვილს,

ადასტურებენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, მისი მიზნების, ჰელსინკის საბოლოო აქტისა და ახალი ევროპისთვის პარიზის ქარტიის, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის სხვა დოკუმენტების ერთგულებას,

გამოთქვავენ რა რწმენას, რომ ორ ხალხს შორის არსებული ისტორიული და კულტურული ტრადიციების სიახლოვე და მეგობრული კავშირები ხელს შეუწყობს მრავალმხრივი კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარებას,

მხარეები აცხადებენ, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით.

მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის.

მხარეები აღნიშნული შეთანხმების დებულებებს დაიცავენ თავიანთი კანონმდებლობის, არსებული პრაქტიკის და მათი საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები იზიარებენ იმ აზრს, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობებს განავითარებენ საერთაშორისო ურთიერთობათა

ახალი პრინციპების საფუძველზე და შეთანხმდნენ ურთიერთ-ნდობისა და თანამშრომლობის საფუძველზე განავითარონ და გააფართოვონ ურთიერთობები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკურ, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ტრანსპორტის, კულტურის, ინფორმაციის, ტურიზმის, სპორტისა და სხვა დარგებში.

მუხლი 2

მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამშრომლობას, რომლის ძირითადი პრინციპები აისახა 1992 წლის 25 ივნისს ქ.სტამბულში უმაღლეს დონეზე ხელმოწერილ დეკლარაციაში.

მხარეები ერთობლივი ძალისხმევით შეეცდებიან განავითარონ აღნიშნული თანამშრომლობა, ყოველმხრივ ამაღლონ მისი სტატუსი და ეფექტიანობა, დიდ მნიშვნელობას მიანიჭებენ უთანხმოებების პოლიტიკური საშუალებებით გადაჭრას, რეგიონული უსაფრთხოების და ნდობის სისტემის იდეის განხორციელების საქმეს.

მხარეები მჭიდროდ ითანამშრომლებენ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებშიც,

აგრეთვე მრავალმხრივ კონფერენციებსა და ფორუმებში კავკასიასა და მსოფლიოში მიმდინარე პოზიტიური ცვლილებების ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით.

მუხლი 3

ურთიერთობათა შეთანხმებულად წარმართვის უზრუნველსაყოფად მხარეები პერიოდულად მოაწყობენ კონსულტაციებს ორივე მხარისთვის საინტერესო რეგიონულ და საერთაშორისო საკითხებზე.

მხარეების საგარეო საქმეთა სამინისტროების მეშვეობით შეათანხმებენ აღნიშნული კონსულტაციების დღის წესრიგს, ადგილსა და ვადებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 4

1. მხარეები, ხელმძღვანელობენ რა იმ მოსაზრებით, რომ სავაჭრო ეკონომიკური თანამშრომლობა ორმხრივი ურთიერთობების განმსაზღვრელი ძირითადი ელემენტია, შეეცდებიან არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მოცულობა აიყვანონ მისი პოტენციური შესაძლებლობების დონეზე, შეიმუშაონ და განახორციელონ ერთობლივ კაპიტალდაბანდებათა პროექტები.

2. მხარეები ხალს შეუწყობენ და უპირატესობას მიანიჭებენ ერთმანეთს შორის ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობის განვითარებას.

3. მხარეები განავითარებენ მჭიდრო თანამშრომლობას იმ დარგებში, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მათი მომავლისათვის:

- მრეწველობა,
- ენერგეტიკა,
- სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა,
- ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა,
- ჯანდაცვა,
- კომუნიკაციები.

მუხლი 5

მხარეები ხელს შეუწყობენ ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროებში გამოცდილების გაზიარებას, მხარს დაუჭერენ ურთიერთობის განვითარებას აღნიშნულ დარგებში არსებულ შესაძლებლობათა უკეთ გამოყენებისა და გაცნობის მიზნით.

მუხლი 6

მხარეები ხელს შეუწყობენ კონტაქტებისა და ურთიერთობის დამყარებას სხვადასხვა საზოგადოებრივ პროფესიულ და ტექნიკურ ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებსა და საქმიან წრეებს შორის, აგრეთვე გაცვლითი ვიზიტების წახალისებას

ალნიშნული საზოგადოებების წარმომადგენელთა შორის და ორივე ქვეყნის ქალაქების დაძმობილებას.

მუხლი 7

ორივე ქვეყანაში დამკვიდრებული ცხოვრების წესის უფრო სრულყოფილად გაცნობის მიზნით მხარეები ხელს შეუწყობენ მათ მოქალაქეთა პირად კონტაქტებს, განავითარებენ უშუალო თანამშრომლობას კულტურისა და ხელოვნების დარგებში.

მუხლი 8

მხარეები ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიან ორ ქვეყანას შორის მათი მოქალაქეების თავისუფალ მიმოსვლას, საკონსულო ურთიერთობათა განვითარების მიზნით ხელს შეუწყობენ შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერას.

მუხლი 9

მხარეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობის განვითარებას ტრანსპორტისა და ინფორმაციის გაცვლის სფეროში და ამ მიზნით ხელს შეუწყობენ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ურთიერთკავშირის გაფართოებას.

მუხლი 10

მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა გარემოს დაცვას, მჭიდროდ ითანამშრომლებენ გაჭუჭყიანებისაგან შავი ზღვის დაცვის საკითხში.

მუხლი 11

ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საკითხების განხორციელების მიზნით მხარეები ხელს შეუწყობენ ორი ქვეყნის პარლამენტთა თანამშრომლობას, ორი ქვეყნის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანოების პირდაპირი კონტაქტების დამყარებასა და თანამშრომლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 12

მხარეები აცხადებენ, რომ აღნიშნული ხელშეკრულების დებულებანი არ არის მიმართული სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ და არ არღვევს ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს მესამე ქვეყნის მიმართ.

მუხლი 13

ეს ხელშეკრულება დადებულია ათი წლით. იგი ავტომატურად გაგრძელდება შემდგომი ხუთი წლით, თუ რომელიმე მხარე აღნიშნული ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე წინასწარ წერილობით არ ამცნობს მეორე მხარეს, რომ გადაწყვიტა შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

შემდეგ ხელშეკრულებებშიც, მათი მოქმედების გაუქმებასთან დაკავშირებით კვლავაც ძალაში რჩება სამი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების პრინციპი, თუ ამგვარი შეტყობინება არ გაკეთდა, ხელშეკრულება კვლავაც გაგრძელებულად ჩაითვლება მომდევნო ხუთი წლით.

მუხლი 14

აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა კანონმდებლობების შესაბამისად დამტკიცების შემდეგ.

შესრულებულია და დამტკიცებულია ქ. თბილისში, 1992 წლის 30 ივლისს, ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და თურქულ ენაზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელით
ედუარდ შევარდნაძე.

თურქეთის რესპუბლიკის სახელით
სულეიმან დემირელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის
რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა
და კეთილმეზობლური ურთიერთობების
ხელშეკრულების" რატიფიკაციის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ა დ გ ე ნ ს:

რატიფიცირებულ იქნეს „საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების ხელშეკრულება".

საქართველოს პარლამენტის
სპიკერი ვახტანგ გოგუაძე

<u>თბილისი</u>

1993 წლის 25 მარტი
№ 196–Iს

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ამონაკრები)

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.
2. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.
3. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო“.

მუხლი 2.

1. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციით და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.
2. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.
3. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 3.

1. მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

ა) კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ;

ბ) სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ტერიტორიული წყლების, საჰარეო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსი, მათი დაცვა;

მუხლი 6.

1. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.
2. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

თავი VII

სახელმწიფოს თავდაცვა

მუხლი 98.

2. ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები.

3. სამხედრო ძალების სახეობები და შემადგენლობა განისაზღვრება კანონით; სამხედრო ძალების სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, რაოდენობას კი, ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით—პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 101.

1. საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა.
2. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. სამხდრო ვალდებულების მოხდის ფორმას ადგენს კანონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

წინასიტყვაობა. 3
1. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 5
2. რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. 7
3. რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება 17
4. საზავო ხელშეკრულება დადებული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის. 19
5. 1920 წლის 12 ივნისის თარიღით დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების დამატებითი მორიგება აზერბაიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას შორის. 26
6. რატიფიკაცია „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და აზერბაიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობათა შორის დადებული ხელშეკრულებისა" 28
7. საქართველოს კონსტიტუცია 1921 წლისა 29
8. ხელშეკრულება სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკებისა ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობასთან. 33
9. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია 1922 წლისა 47
10. **КОНСТИТУЦИЯ (ОСНОВНОЙ ЗАКОН)** Закавказской Социалистической Федеративной Советской Республики 53
11. დადგენილება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი მოწვევის მეორე სესიისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის სამოქმედოდ შემოღების შესახებ 54
12. კონსტიტუცია სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა, 1924 წლისა 55
13. დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა ა-კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ტექსტის გამოქვეყნების შესახებ 61
14. ძირითადი კანონი (კონსტიტუცია) ამიერ-კავკასიის სო-

ციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისა, 1926 წლისა 63
15. დადგენილება სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-3 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიისა „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბ-ლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ 67
16. დადგენილება სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების მე-IV ყრილობისა „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბ-ლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ტექსტის საბოლოოდ დამტკიცების შესახებ“. 68
17. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) 1927 წლისა 69
18. დადგენილება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების საგანგებო VIII ყრილობისა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) დამტკიცების შესახებ“, 1936 წელი 76
19. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს I, III, IV და V სესიების მიერ მიღებული ცვლილებებითა და დამატებებით. 77
20. დადგენილება სრულიად-საქართველოს საბჭოების საგან-გებო VIII ყრილობისა „საქართველოს საბჭოთა სოციალის-ტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) დამატების შესახებ 83
21. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) 1937 წლისა 85
22. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) 1977 წლისა 91
23. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეკლარაცია „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მიღებისა და გამოცხადების შესახებ“ 97
24. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) 1978 წლისა 99
25. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი 105

26. საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობის და კეთილმეზობლური ურთიერთობების ხელშეკრულება, 1992 წელი 108
27. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების ხელშეკრულების“ რატიფიკაციის შესახებ 113
28. საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებთან 1992-96 წლებში ხელმოწერილი და რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები 114
29. საქართველოს კონსტიტუცია 1995 წლისა 115

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქციის გამგე	ტარიელ ხავთასი
რედაქტორი	მანონ ღუდუშაური
სამხატვრო რედაქტორი	გურამ ზაკალაშვილი
ტექნიკური რედაქტორი	სოფიო ამირანაშვილი
კორექტორები	მაგული კებულაძე
	ნელი ქაფიანიძე
ოპერატორი	მაიკო ლაბაძე
პროგრამისტი	რუსუდან კასრელიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.09.99
ქაღალდი 60X84. ნაბეჭდი თაბახი 6.
სალებავგატარება 6,5. საალრ.-საგ. თაბ. 3.98

ტირაჟი 500

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით
ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „განათლება“,
თბილისი, ჩუბინიშვილის ქ. №50
დაბეჭდილია ფირმა „პოლიგრაფის“ მიერ,
26 მაისის მოედანი №2

ეროვნული
ბიბლიოთეკა